

ჩ ვ ე ნ ი

თათბა

საქმლმწიფო გამომცემლობა

4

# ჩ ვ ე ნ ი თ ა ო ბ ა

897  
12 27

საქართველოს საზოგადოებრივი  
კავშირის უმჯობესი ორგანო



თ ბ ი ლ ი ს ი

1 9 3 8

№ 4

აკრილი

## უიწაარსი

### მხატვრული ლიტერატურა

ივ. ყიფიანი — პაპანინელებს . . . . .	83
შალვა ამისულაშვილი — ლექსები . . . . .	3
ვასილ გოჩოღეიშვილი — ბელადს . . . . .	5
ვლ. სულაბერიძე — ფეხბურთელი კოლხეთი- დან . . . . .	8
ლადო ბალიაური — ადათის მსხვერპლი . . . . .	10
ვასილ ლომიძე — გადარჩენა . . . . .	12
	16

### კლასიკური მემკვიდრეობა

ვლადიმერ მაიაკოვსკი — ვლადიკავკასი — თბილისი — თარგმ. ირაკლი აბაშიძისა . . . . .	37
ჰაინრიხ ჰაინე — დონნა კლარა — თარგ. ხარი- ტონ ვარდოშვილისა . . . . .	43

### ხალხური უმეოკმედება

ვანო წიკლაური — ქვეყანას ლარი. გავაბი, სიმები ჩონგურისაო . . . . .	47
---	----

### კრიტიკა


იაკობ ბალახაშვილი — მაქსიმ გორკის ჩამო- სვლები საქართველოში . . . . .	48
ლევან ასათფანი — თანამედროვე საბჭოთა პოეტები — ალექსანდრე აბაშელი . . . . .	48
გ. მებუკე — ოვანეს თუმანიანი . . . . .	75
გ. მ. + დუტუ მებრელი . . . . .	77

### ბიზლიორგრაფია

გ. — სერგო კლიაშვილი. — ნოველები . . . . .	79
--	----

პ/მ რედაქტორი ირაკლი აბაშიძე

პ/მ მდივანი ნიკა აბიაშვილი



მამისი პორტრეტი

## პაპანინებს

თქვენ, ვინც არქტიკა დაისაკუთრეთ  
და უცხო ქვეყნის მოგაქვთ ამბავი,  
მინდა შემოგხვდეთ, გულში ჩაგიკრათ  
და სიყვარულით გიძღვნათ ამბორი.

ჩრდილო პოლუსის დაპყრობის მიზნით  
ბევრი ილტვოდა წინ გაბედულად,  
რამდენი გმირი წასულა იმ გზით  
და უკან აღარ დაბრუნებულა.

ბევრმა დათესა თავისი ძვლები  
შორს, ყინულოვან ფართო მინდვრებში,  
თქვენ გაიმარჯვეთ ბრწყინვალედ, ძმებო,  
ძეგლი დაიდგით უუძლიდრესი!

ხან ცივი ქარი სახეს გიპობდათ,  
ხან თავს გეხურათ ღრუბლის ნაჭერი,  
ხან სიხალისე ბაგეს გიმკობდათ,  
როცა უსმენდით კონცერტს დაჭერილს .

ცხრა თვეს ებრძოდით სასტიკ სტიქიონს  
და შეასრულეთ მტკიცედ პირობა:  
ბოლშევიკები არ დაიხვევენ,  
სადაც საჭირო არის გმირობა!

შემოვცქეროდით ყინულის მინდორს,  
დადაც მოთავსდა თქვენი კარავი,

თქვენთან ვათევდით გრძელ ღამეს იმ დროს,  
როცა არ გყავდათ სტუმრად არავინ.

თითქოს მობეზრდა თეთრწვერა მოხუცს,  
ბნელს ქარიშხალიც რომ დაემატა,  
თქვენი ყინული მოშორდა პოლუსს  
და თბილ წყლებსკენ გამოემართა.

როცა განრისხდა ზღვა გრენლანდიის  
და მოინდომა თქვენი მოსპობა,  
მაშინ მარტოკა არ მიგატოვათ,  
გამოვიწოდათ ხელი მოსკოვმა..

---

# ლექსები

1.

## პირველი ნაკვეთი

შხით იფარება ღია ფანჯრის ლურჯი მინები  
და სურნელება მოჰქრის ბალიდან;  
გაჰხედე ცაცხვებს, მათი ეშხით გადაირევი.  
შეტი რა გინდა?!  
სიამით სუნთქავს მიწა ვრცელი, მიწა უღვევი,  
ჩაბუდრებული სიმწვანის ყდაში...  
ქარვას აფრქვევენ რქანაყარი ბუდეშურები, —  
და ისმის ყველგან ფოთლების ტაში!  
გაშალე მკერდი, რომ უბადლო სხივთა პკურებით  
უკანასკნელი წერტილიც გათბეს;  
არ გადევს პირზე უჩინარი საკეტურები,  
სიმღერა გმართებს!..  
შენს ოთახშიაც დილა ბუდობს ყვავილგაშლილი  
და გული ფერად ფარჩით ირთვება!  
მაშ რაღას უცდი, როცა უდგას ფართო ტაშირი  
მართალი სიტყვის გაჯირითებას!..

2.

## ზამთარი ჩემს ჭვეყანაში

ვინ სთქვა: — ციდან თოვლი ცვივა,  
ქარი კვნესის, ქარი ტირის?  
ვინ სთქვა: ხეებს ყინვამ დაჰკრა, —  
ვაუმწარდათ მიწა ტკბილი?..

მე ვერ ვამჩნევ ზამთრის დღეებს,  
ბულბულს ვუსმენ ყოველ დილით!  
მთები ლურჯად იფერება,  
მზე ქათქათებს, მზეა თბილი;  
ცაში ტყემლის ტოტებია  
ყვავილებით დაპენტილი!..

\* \*  
\*

ბუხარს ცეცხლი არ უნთია,  
ქაფს არ იგდებს ნედლი შეშა;  
გვერდს არ მიზის დედაჩემი,  
საჩეჩელზე მატყლს არ სჩეჩავს;  
ყინვის დალი არ ატყვია,  
გამოღებულ ფანჯრის მინებს:  
მე პერანგიც გამიხსნია,  
სიცივეზე ხმას არ ვიღებ, —  
და მოვარდნილ სიტყვის ლაშქარს  
გაზაფხულით ვათარიღებ!..

მგონის აკვანო

(აკაკი წერეთლის ხსოვნას).

სად მოგჭრა შენმა ოსტატმა,  
რა ჩარხში გამოგატარა?  
ვინ დაგარწია პირველად  
ასე კობტა და, — პატარა?!  
ნაყამირალმა ყვავილმა  
შენში გაიდგა ფესვები, —  
და შენც — მეორე მშობელი  
დღედაღამ უალერსებდი!  
ლატანზე გადაჭიმული  
აღარ გაქვს ორი სარტყელი;  
ნუ სწუხარ... გიახლოვდებით  
ლალი არწივის ბარტყები!  
ცაშიც ბინადრობს, მიწაშიც,  
ჩემშიც ბრიალებს მზესავით;  
ხან ღრუბელია — საავდრო,  
ხან უფრო დაშნის მლესავი!

ქუხილი მისი ბგერაა,  
ელვა — ლექსების დარხევა,  
ჟუჟუნა წვიმა — ცრემლები,  
წყვილიაღში რომ იმარხება...  
დამელნებული ბინდები —  
დარდია გამტკნარებული, —  
და ვარსკვლავები კრიალა, —  
მისი რითმების კრებული!..

# ბედოს

გრივლების ცეცხლში იშვა შენი სიბრძნე, მზე არჩეული,  
მშრომელ ხალხის ბურჯად იქცა ბრძოლის ცეცხლთან შეჩვეული.  
შენს ურყეველ გმირულ თქმაში რა უხვია განძეული —  
შენ წარმტაცი ცხოვრება ხარ მასებთვე არჩეული.

გრივალისით შემომესმა მშობლიური ეს ხმა ტკბილი.  
გაფურჩქენილა, გავსებულა ჩვენი მხარე, ნეტარქმნილი.  
ცის ქვეშ, ზღვის და მთის გადაღმა ჰქუხს გმირების მოძახილი.  
გმირს თან დააქვს შენი განცდა ელდენივით მოვარდნილი!

ქვითკირი და სალი კლდე ხარ იმედებით ავსებული.  
ხარ გენიის ბრწყინვალეობა ვარსკვლავებად ანთებული.  
გიცქერ, ჩვენო მშობლიურო, საამო დღით აღვზნებული,  
რომ შენი გზით გავიზარდეთ, ჩვენ, თაობა ახლებური.

წამოსულხარ ბავშვი მთიდან, თითქოს ელვად გარდაქმნილი.  
ქვა-კლდეებად აღმართული დედისერთა ჯულაშვილი,  
ვით ციური მეტეორი და არწივი ფრთაგაშლილი,  
ქართლის გულში დანაბადი საბჭოეთის დროშად შლილი.

სიყმაწვილის სიმღერა ხარ, ზღვა უსაზღვრო, უძლეველი.  
დაუშრეტი ოკეანე, სიხარული ულეველი.  
ცა მნათობთა დამჩრდილავი, თვითონ მზე და სხივთმფრქვეველი,  
გული — რკინა და ფოლადი, როგორც კრემლი ურყეველი.

სტალინ, შენით მეტყველებენ საბჭოეთის მთა და ველი,  
რომ ვაჟკაცურს სიმღერების და გმირობის შენ ხარ მოქმედი.  
ისტორიას გადასწვდება ეგ შენი თქმა ოქროსმცველი,  
რომ მარადი გზებით ივლის ხარტია და საქმე ვრცელი.  
ხარ ცხოვრების ტკბილი ნანა და გრძნობების დამთავლავი,  
შემომქმედი ოქროს ხანა, მშობელ ქვეყნის ნატვრის თვალი, —  
ვით გმირული აღმაფრენა და ტაშების ქარიშხალი,  
ჯულაშვილის ქოხში ზრდილი ანთებული ქარში ალი.  
გშვენის ხალხთა სილაღობე, სიჭაბუკე არჟკნობილი,  
შენი ხედვა ქუხილია, სიყვარული გალხობილი,  
გმირულ გზებით შეჰხარაინ შენს გაზაფხულს მძლედ წრთობილნი,  
სასწაულებს გიმღერაინ შვილნი შენნი მხნედ შობილნი.  
ბრძოლის დროშას ხელს ვინ ახლებს ჯავშნითაა შეხვეული,  
ის მზესავით. მაღალია ზედ ყვავილით შეფრქვეული.

გუშინ მთას ვიყავ, მთა ვნახე, მთა მწვანე მოლით შემკული,  
ათიათასი ცხვარი და მეცხვარე ნაბლით შეკრული, —  
ხელთ სალამური ეჭირა ტკბილი ჰანგებით ქებული,  
მას დამღეროდა ყმაწვილი შენითვე აღტაცებული:  
რამდენი ხუთასოვანის და სტახანოვის მამა ხარ,  
რამდენი გმირი მფრინავის გამარჯვებათა ზენახარ, —  
იალბუზივით შემდგარი უსაზღვრო აღმაფრენა ხარ,  
მაღალ აზრით და განცდებით ხალხის ღრმა გულის ღხენა ხარ.

---

## თეხბურთელი კოცხეთიდან

შეადგი ფეხი მზეში ელვარეს,  
მინდორს, ზღვა ხალხში ჩაფენილს ნოხად,  
ბურთს ააქვს ცამდე ტაში მღელვარე  
და შენ მომტაცე თვალები ჭროლა.  
წაიღე ბურთი, მოსული მალლით,  
და აგეშალა სხეულზე ქარი.  
გულისფანცქალით გიცქერის ხალხი, —  
და ჰა, შეხსენი პირველად კარი...  
გიცანი ჩემი ბავშვობის კბილა,  
ცეცხლის წინწყლებით ამევსო ტანი.  
ჩვენი გაჩენის უმზეო დილამ  
მირონი გვასვა კოლოს ნესტარით.  
დამბალ ნოყოში აიდგი ენა,  
გიგავდა სახე რიონის ლოდებს.  
ვინ იფიქრებდა, თუ ამგვარ რბენას  
ციების მონა შესძლებდი ოდეს.  
ჟანგად გეხვება გულზე ნალველი,  
ჩაგიდგა მუხლში სინესტე მიწის,  
მიჰქროდა ყრმობა, მზეუნახველი  
და მიათრევდი ბნელ დღეებს სიმწრით..  
ჭაობში მარტო ხარობდა ირგვლივ  
ლაქაშები და ურგები ჩირგვი.  
გული გაუხსნეს მიწას ბურიანს.  
მიწამ მოისხა ოქროს მტევნები,  
მყრალი ჭაობი დაშრა სრულიად,  
ყოველ ხეს მზეში თავზე ევლები...

მოვალ, მეც შენთან რბენა მწყურია,  
ბურთს მეც შენსავით დავედევნები!  
შეგმატებია მუხლებში სისხლი,  
გნახე, განვიცდი სიხარულს ორწილს,  
ანთებულ მიწას დაადნა ნისლი,  
შენ მანდარინებს ეხვევი, კოცნი,  
თუ დასჭირდება სამშობლოს, რისხვით  
მტრებში ცეცხლიან ყუმბარას ტყორცნი!

---

# პდეთის მსვკოქო

(წარსულიდან)

პატარა ტანის გამხდარმა ხევსურმა მამუკამ სათვალავიც არ იცოდა — რამდენი ცხვარ-ძროხა შესწირა ხატებს, რომ ვაჟი შესძენოდა, მაგრამ საშველი არ იქნა, არ ასრულდა მკითხავეების ნათქვამი. სამი ქალი გაუჩნდბ და სამივე მოუკვდა.

დაღონდა მამუკა: დუშმან ძმას რჩებოდა მამუკას სახლკარო, სახნავ-სათიბი... ჯავრობდა და ილანძლებოდა. ხშირად მისტყებდა უბედო მეუღლეს და ცოცხალმკვდარს მიაგდებდა.

— ვაჟ მინდ, წუნკალავ, ვაჟი!.. — იძახოდა გაბოროტებული მამუკა.

— ვაჟ უნდა მამუკას, ვაჟი!.. — უმოწმებდნენ მამუკისიანებიც (გარდა ძმისა) და მამუკას სხვა ცოლის შერთვას ურჩევდნენ. მამუკაც მიჰყვა მათ რჩევას, — ეძებდა საცოლეს, მაგრამ არ დასცალდა: მზექალი მეოთხედ დაორსულდა. მამუკამაც მეორე ცოლის ძებნას დროებით თავი მიანება:

— იქნება ვაჟ გაჩნდას. ოჯახ აღარ აირ-დაირევის, მემკვიდრე იქნების, გვარს გააგრძელებს, — ფიქრობდა ის. ამ ფიქრებით და იმედით ჩამოილია ზაფხული. დადგა ზამთარი. მოახლოვდა მზექალას მოლოგინების დრო... გაუჩნდა საშინელი ტკივილები. ბნელ ბოსელში იწვა და კვნესოდა.

გარეთ ქარი ქროდა. ქარბუქში ეხვეოდა არხოტის არე-მარე. ბოსლის სარკმელში ბუქი შემოდოდა. ყრუდ ისმოდა ტყეების დამძიმებული და ხშირი შხუილი, მდინარეების მიბნედილი გრუხუნის და ქარისაგან მოტაცებული დამშეული მგლების ყმუილი. მზექალა შიშით კანკალებდა: რა ქნას... ასეთ ამინდში როგორ წავიდეს „ქობში?“ გაფითრებულ სახეს ოფლის ნამი ედებოდა, ფიქრით თავი უმძიმდა, ბედს იწყევლიდა...

საშიში ღამეა, მაგრამ მეტი რა გზაა: ხევსურეთის წესს ხომ ვერ დაარღვევს, — შინ ხომ არ ილოგინებს?..

წამოდგა... საშინელი ტკივილები იგრძნო. დაიკვნესა. ქვეშაგებზე დაეცა.

ცოტა მოშორებით იწვა მამუკა. ზედნახურავ ფარდავის ქვეშოდან უჭვრეტდა მეუღლეს. ცივი ხმით ეუბნებოდა:

— წეედ ქოხში!.. წეედი!.. ხთიშვილთაი, ხალხისა გეხათრებოდეს... ხევსურეთის წესს ვერ დავარღვევთ...

— წეს, ოხერ წესი!... — თქვა მზექალამ და კვლავ წამოდგა... მოღუნებული ტანი ძლივს გაიმაგრა. კარგა ხანს იდგა უძრავად, — ბიჯის გადადგმა ვერ შესძლო. მუხლები თანდათან უსუსტდებოდა, მაგრამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფა, გასწორდა. ცრემლით სავსე თვალებით გადაჰხედა არილად განათებულ ბოსელს, ამოიოხრა, ნაბიჯის გადადგმა სცადა. წაბარბაცებული კარებს მიეყრდნო. ათრთოლებული ხელით მოსწია კარის საკეტი. ქარმა, შიგნით შემოაწყვიტა კარი. ქალს სუნთქვა შეუწყდა, წატორტმანებული კარებს მოსწყდა და ღამის სიბნელეში დავინთქა.

მამუკა მძიმედ წამოდგა. კარი ჩაჰკეტა, პირჯვარი გადაიწერა და ხმამალა თქვა:

— დიდო არხოტის ჯვარო, ხარი, სახვთო არ მშურს შენდ გამარჯვებულო, ოლომც ვაჟ მალიზსეთ... — კვლავ პირჯვარი გადაიწერა, მუგუხალი ჩააქრო, ლოგინში ჩაწვა.

მზექალა სოფლის ბოლოს უნდა ჩასულიყო, — „ქოხები“ სოფლის მოშორებით იდგა. ღამე იყო ბნელი. ტკივილებით გაბრუებული ქალი ვერაფერს ამჩნევდა. რიც-რიცით მისდევდა ვიწრო შარას. აქეთ-იქით აწყდებოდა. ეცემოდა თოვლზე. სიცივემ ხელფეხი გაუხევა. ტკივილებმა უმატა, ღონე გამოეღია. სუნთქვა უძნელებდებოდა. ბოლოს სიარული ველარ შესძლო, — შუა შარაში წაიქცა: რამდენიმე ხანს უძრავად ეგდო, შემდეგ აფართხალდა. გზის პირას ჩაყოლებულ ყორეს ჩაებლაუჭა: უნდოდა წამომდგარიყო, მშველელისთვის დაეძახნა, სურვილი გულში ჩაიკლა. იცოდა, არავინ დაეხმარებოდა მშობიარე ქალს. ერთხანს კიდევ ებრძოლა ტკივილებს, ბოლოს მწარედ დაიკვნესა, შეჰკივლა და კივილთან ერთად გამაგებულ ქარის ღმუილში გაეხვია ბავშვის სუსტი ამოტირება, რაც იმ წამსვე მიქრა.

\* \*

გათენებისას ქარი მიწყნარდა. შეძრწუნებულმა არე-მარემ თავისუფლად ამოისუნთქა. ხევსურები ნელ-ნელა გამოძვრნენ ნახევ-

რად მიწური ბოსლებიდან და მწყრალად გადახედეს გატვრინულ შიდამოს.

მამუკა დიდხანს დადიოდა ბოსელში და ყალიონს აბოლებდა. სწუხდა. გარეთ გამოსვლა უნდოდა, მაგრამ ვერ გაებედნა: რცხვენოდა და თან ეშინოდა მზექალას ამბის კითხვისა.

— ვაი, თუ დავიღუპებით... დიღო არხოტის ჯვარო.. — იძახდა იგი და პირჯვარს პირჯვარზე იწერდა.

ასეთ შემთხვევის დროს ქალები დაფაცურდებიან: იკითხავენ „მექოხის“ ამბავს. მახარობლად მიიბრუნენ მშობიარის ოჯახის წევრებთან, მაგრამ აგერ შუადღე ახლოვდება და მამუკას ახლო არავინ გაეკარა. ბრაზობდა. ლანძღავდა მეზობლებს. ბოლოს ლოდინი მოსწყინდა. ყოყმანით გააღო ჩაკეტილი კარები, და როცა დამშვიდებული გარემო დაინახა, შუბლი გაეხსნა: იქნება მზექალა მშვიდობით გადაარჩეს... დიღო არხოტის ჯვარო!.. — პირჯვარი გადაიწერა. ბოლოს ბანზე ავიდა და მეზობლებს მღურვით გადახედა. ყველა საქმიანობაში იყო გართული. მამაკაცები ნიჩბებით ხვეტავდნენ და შორს ისროდნენ კარზე მოყრილ თოვლს. დედაკაცებს ჩალით სავსე გოდრები წამოეკიდათ და ცხვარ-ძროხისათვის მიჰქონდათ, — საზვინიდან ბოსლისაკენ.

„მექოხე“ ქალებიც „ქოხის“ კარმიდამოს ჰგვანდნენ. „ქოხიდან“ კვამლი ამოდიოდა, — ცეცხლი დაენტოთ. რამდენიმე ქალი შივიდა იმათთან სოფლიდან. დიდხანს ელაპარაკებოდნენ „მექოხეებს“ შორიხლო დამდგარნი და სიცილით დაბრუნდნენ შინ.

— იცინიან!.. მაშ მზექალა ცოცხალი გადარჩენილა!.. ღმერთო, დიღო არხოტის ჯვარო!!! მთავარო ანგელოზო!!! სახვთოს გადაიხდის მამუკა... ხარს დაკლავს, ლუდს მოხარშავს, მთელ ცხოვრებას არ დაიშურებს, ოღონდ ოჯახს ჰატრონი გაუჩნდეს, ვაჟი ეყოლოს და მზექალა ცოცხალი გადარჩეს.

ქალებს თულუხები შეედგათ მხარზე, — წყლისაკენ ჩამოიარეს. მამუკას მზექალას ამბავი ჰკითხეს, და როცა მისი „ქოხში“ წასვლა გაიგეს, ყველანი მექოხე ქალებისაკენ გაიქცნენ.

მამუკას გაეხარდა: მას არც მზექალასთან მიევალებოდა და არც სხვა „მექოხე“ ქალებთან. — ორსული ქალი მშობიარობის დროს ხევსურეთში უწმინდურად ითვლებოდა. მასთან მისვლა, პირდაპირ ლაპარაკი საშიში იყო: ხატი გაწყრებოდა, სოფელი დაემღურებოდა, და ახლოს არავინ მიეკარებოდა — მამუკაც ხომ ხევსური იყო. დაელოდა ამბის მოსატანად წასულ ქალებს, რომლებიც გოცებულნი და სახემკრთალნი დაბრუნდნენ:

„მექოხე“ ქალებს მზექალა თვალითაც არ ენახათ.

მამუკა ელდამ აიტანა, აკანკალდა. ხელები თავზე შემოიხვია. დათვივით აღმუვლდა. მშველელთ მოუხმო. მთელი სოფელი ფეხზე დადგა: ეძებდნენ მზექალას, — ნიჩბებით თხრიდნენ ყორის ნაპირებზე მიყრილ თოვლს. შედიოდნენ სახლების ნანგრევებში და ცარიელ ბოსელში...

მზექალა უკვალოდ დაიკარგა. დაღონდნენ... ბოლოს ერთმა მათგანმა თვალი მოჰკრა ძაღლს, გზის პირში წითლად შეღებილ თოვლს სთხრიდა და ღმუროდა. ყველა იქითკენ გაიქცა, — ძაღლი გახედეს, და როცა პირველმა მათგანმა ნიჩბის პირით გადაყარა თოვლი ძაღლის ნათხარიდან, ყველანი გაოცებულნი დარჩნენ: მათ წინ ეგდო გახევებული მზექალა, ხელფეხი დაკრუნჩხვოდა. თავი გვერდზე ჰქონდა მოღრეცილი. ღია დარჩენილი პირი თოვლით ავსებოდა.

მისი მუხლების წინ აღმოჩნდა ახლადდაბადებული ბავშვი — სიცივეს გაეკრიახებინა. მისი ნორჩი სხეული. ყველამ თავი დახარა, მძიმე ფიქრი დააწვა ხევსურებს. თვითეული დამნაშავე იყო მიცვალებულთა წინაშე. დაღვრემილად გამოიყურებოდნენ. რამდენიმე ხანს უნმოდ იდგნენ. მიცვალებულებს ახლო არავინ ეკარებოდა. მამაკაცები შორიდან უყურებდნენ, ქალები ცრემლს ღვრიდნენ: თვითეულ მათგანს ელოდა ეს ბედი. ყველაზე მოშორებით იდგა მამუკა, მის დანაოჭებულ სახეს ფერ-ფური ეცვლებოდა. ახლადდაბადებული ვაჟი აღმოჩნდა. თავზარდაცემულ მამუკას ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინა.

— წესი ას, — სთქვა ვიღაცამ.

— ადათ თავისას მაითხოვს. — მოუმოწმა მეორემ და ყველამ დარ-ამინდი დასწყევლა.

ქალები ერთხანს სტიროდნენ. შემდეგ ლასტი მოიტანეს „უწმინდური“ მკვდრები ნიჩბებით შეაგორეს ზედ და ისე დაასაფლავეს, ხელი არავის შეუხია.

შინ დაბრუნებული ხევსურები ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდნენ:

— ადათი ას, წეს თავის მაითხოვს!..

სამი დღე მამუკას ბოსლის კარი არ გაღებულა. ბოლოს მეზობლებმა მიაკითხეს: კერის პირზე სისხლის გუბეში ნაწოლი იპოვნეს იგი.

ხანჯალი დაეცა გულზე.



I

ფარა ცახცახით ღამეს ათევდა,  
ისმოდა ხევის შფოთვა, ხრიალი;  
წუხელის მთაში ნაუცბათევად  
თოვლი მოვიდა ქარიშხლიანი.

მწყემსმა გახედა გზას გაფითრებით,  
თეთრი ღუმილი ედო იალალს;  
თხემზე მოზღვავედა ზვავე ზვირთებით  
და შეკრულ ტყეში ჩაითქრიალა.

მკერდში უძრავად ფიქრი ჩაგუბდა,  
ბუუტავდა ცეცხლი — ბუხრის ყვავილი..  
აღარ მიიღო მთამ გათანგულმა  
მწყემსის სევდა და ცხვრების ბლავილი.

ქარი გარემოს ცივად სუსხავდა,  
ქვევით ფერდობებს ღრუბლები ეკრა;  
მწყემსმა ნაბადი წამოისხა და  
ცხვრები ბარისკენ გამოირეკა.

ნამქერს სავალი გზა დაეფარა,  
მეცხვარეს გაჰყვნენ ფიქრები თრთოლვით;  
უკან რჩებოდა გარბენილ ფარას  
დარხეული და დაფშენილი თოვლი.

უცებ ზრიალი გაისმა ერთგან,  
ზვავე ჩამოწვა ველური კვნესით,  
გაჩნდა ნაპრალი,  
გზა ჩაიხერგა,  
შეჩერდა ფარა,  
გახედა მწყემსი.

გახევედა,  
შიში ველარ ალაგმა...  
მდუმარემ, თვალეზგარინდებულმა,  
თავდაკიდული იდგა ალაგზე,  
მხრებზე ნაბადი წამოებურა.

არც ამხანაგი...

წავიდა გუშინ  
და დაბრუნებას დღეს არც ელოდა;  
იდგა ნაპრალთან,  
ცეცხლოვან გულში  
შემოჯარული ფიქრით ბნელოდა.

მობრუნდა,  
ქარმა შენამქრა შუბლი,  
სად იყო — თითქოს ველარ არჩევდა,  
ცა მრისხანებით გადანალრუბლი  
არ მეტყველებდა გადასარჩენად.  
და, ადგა მწყემსიც, ბუნების რისხვას  
უსასტიკესი მზერა არგუნა,  
ცხვრებს დაუარა, ხევიდან იხსნა,  
ისევ ბინისკენ შემოაბრუნა.

2

მოსალამოვდა, კიდევ შებინდდა,  
მკრთალად მოჩანდა თოვლში გარემო,  
გრივალი ქროდა გაშლილ ფრთებითა,  
ცა იყო მღვრიე და უმთვარეო.

ნისლების დელგმა მთაზე მოზვინდა,  
ჩამოწვა ღამე ცივი, საზარი;  
მწყემსმა ფარეხთან შეშა მოზიდა,  
ცეცხლი დაანთო უზარმაზარი.

ტყეში გაჭრილი ქარი ღრინავს, და  
ტრიალებს მწყემსი, ღონე ელევა,  
ბინებში ცხვრები ჩააბინავა,  
ირგვლივ ძაღლები დადგნენ მცველებად.

მწყემსს შემოუჩნდა ფიქრი თანდათან,  
ფიქრი უმზეო და უსაშველო, —  
ქარი აშლილი ნამქერს ჰფანტავდა  
და თარეშობდა ბინის გარშემო.

იგი შევიდა ქოხში ერთხანად,  
შეჰყვა ნალველი და სიმძიმელი,  
დაჯდა,

შეხედა... წარბი შეხარა,  
გარდაეფინა სახეს ღიმილი.

გამოიღარა თვალდანისლოლმა,  
გულში აღმური აღარ ეკიდა;  
მშვიდად უცქერდა ბელადის სურათს,  
რომ ანათებდა ქოხის კედლიდან.

იღვა. იმედებს იკრეფდა მზერით,  
ლალმა ფიქრებმა სევდა ალაგმეს, —  
რომ მეტყველებდა სურათშიც ბრძენი,  
როგორც მშობელი და მოამაგე.

წამოხტა მწყემსი,  
აანთო კვარი,  
გულს კაეშანი აღარ არხევდა,  
აჩქარებულად გააღო კარი  
და ხმაგატვრინულ ბინებს გახედა,

გახედა,  
სივრცე იწვა ღამეში,  
იწვა, სუნთქავდა ფრთებდაკეცილი,  
ქარს მოწყენოდა თითქოს თარეში,  
აღარ ღრინავდა იგი მხეცივით.

სადღაცა ღელე გარბოდა ისე,  
როგორც სასწრაფო ამბის წამლები,  
სადღაცა მგელი ყმუოდა ისევ  
და გუშაგობდნენ ფარეხს ძაღლები.

მობრუნდა მწყემსი,  
სახე უთრთოდა,  
უნდოდა ბრძენი კიდევ ეხილა;  
მივიდა, სურათს მიუახლოვდა  
და მკლავებგაშლით გადაეხვია.

### 3

კოლექტივს მისწვდა ამბის მთხრობელი,  
არ შედგომიან საქმის გარჩევას,  
შესძახეს:

ფეხზე დადგა სოფელი  
მწყემსის და ცხვრების გადასარჩენად.

შესძახეს:

„მთაში თოვლი მოსულა,  
მწყემსს ჩაეკეტა გადმოსავალი,  
მოიწმენდავს და ყინვა მოსწურავს,  
დაგვეხოცება ცხვარი მრავალი“.

და დაირაზმნენ,  
შიპყენენ იერიშს,  
გაუდგნენ მთისკენ ბარით, მარხილით,  
ტყე შეურიალდა, ტყე უსიერი,  
სად არ სწვდებოდა მათი ძახილი:

- ნინო, დაბრუნდი!
- თავს ნუ აწვალებ!
- ეს შემთხვევანი მთაში ხშირია!
- გზას გადავთოვლავთ!
- დავიხსნით მალე!
- შენ ქმარს რა უშავს...
- ნუ გეშინია! —
- არა, მეც თქვენთან,

ძმებო, მოგყვებით,  
სახლში რა მინდა? თქვენთან ვიქნები! —  
აულაჟლაჟდნენ ნინოს ლოყები,  
თმა აუჭრელდა თოვლის ფიფქებით.

- ქალო, არ იშლი?! —
- ნულარ ჩამძახი, —

ნინომ უკმეხად სიტყვა გადაჰკრა.  
გაღუშხუილა ცხენსაც მათრახი  
და აედევნა ვაჟებს კვალდაკვალ.

მწყემსის მშობელი ძლივს დააწყნარეს,  
ამოცრემლოდა თვალთა უბენი: —  
ერთი შვილი მყავს,  
რომ ევნოს რამე,  
დავიღუბები!!“

სოფლის საბჭოშიც მოითათბირეს.  
— ძმებო, კაცები გზებზე მოვფინოთ!  
თავმჯდომარემ სთქვა:  
„ასე ვაპირებ,

შემთხვევა თბილისს შევატყობინო.  
ჩვენ ხომ პირუტყვებს ერთგულად ვუვლით —  
(მჯერა ეს საქმე არ გეოცებათ),  
სანამ გავწმინდოთ გზა დანამქრული,  
ფარა შიმშილით დაგვეხოცება.

ორი ათასი ცხვარი... ზამთარმა...  
ძმებო, ხუმრობა ხომ არ გგონიათ!  
მე ვიცი, ზვავმა ბევრი დაჰფარა,  
ბევრი მეცხვარე ჩაუქოლია“.

რაიკომს ამცნეს.

და განრიგებით  
ხალხი მოედვა ხევს და ხრიოკებს.  
„შორს ფარეხშიო მწყემსი მიგველის“,  
გზას მიიკვლევდნენ და მიჰკიოდნენ.  
და მიჰკიოდნენ მთას შესეულნი,  
თოვლი ლხვებოდა კლდეზე ნაფენი,  
მალლა არწივი — ცის მესვეური  
მიჰქროდა ღრუბლებსგადანაფრენი.

4

— მეორე დღეა,  
ძარტოა მწყემსი,  
ბოლო არ უჩანს დამგესლავ ფიქრებს;  
— სად არის ნეტავ?!

გზა უარესი,  
ვინ იცის, ძასაც შეემთხვა იქნებ,  
დაცილუპები.

წრევეანდელ ბატკნებს  
ამ სიცივისგან რა დაიფარავს, —  
და ამ ზაფხულში რაც შევიმატე,  
მგონია ისევ დააკლდეს ფარას.

რა გადარჩება ამინდს საშინელს,  
სოფელში ალბათ ამბავს ელიან,  
თუ ერთი კვირა დავრჩი მთაშივე,  
გამომეცლება ფარა ხელიდან.

მე კი რა მიჭირს,  
ამ ბინას შეცვლილს,  
ვერ ამოქოლავს თოვლი და ზვავი,  
მე მახსოვს შარშან აქ შუაცეცხლი,  
ახლა კი აგერ, ბუხარი ყვავის.

წავიდა ის დრო,  
აღარც მოველით,  
თან უვიცები ვიყავით მაშინ:  
ბინა უბრალო მოუწყობელი...  
და ილრჩობოდნენ თვალები კვამლში.

წელს რა მიშავდა,  
განვლე ზაფხული,  
ერთი ბატკანიც არ დამიკარგავს,  
მქონდა ოცნება შემონახული,  
მაგრამ, რას იზამ,  
სწორედ ეს „მაგრამ“...

ეს „მაგრამ“ არის გულის მდაღველი,  
დავმარცხდი...

ფარა დამიზარალდა,  
მინდოდა მარჯვე მწყემსის სახელი  
მთიდან წამელო ქვევით, ბარადა“.

ამბობდა თითქოს იმედჩაკლული,  
წინ ნაკვერჩხლების ხევი ეყარა;  
ქოხში ბატკანი, მგლის კბილგაკრული,  
მოსაცოცხლებლად შემოეყვანა.

## 5

ქარი ისევ ავობდა,  
ქარი განახელები,  
იდგა თოვლის ზვაობა,  
ზრიალებდნენ ხეები.

ღელე ჩუმი ჩურჩულით,  
ქვევით მოირხეოდა;  
ტყე თეთრად შექუჩული  
ჩასცქეროდა ხეობას.

ღამე იყო კრიალა,  
ვარსკვლავი არ ქრებოდა,  
მთას — დათოვლილ იალაღს —  
მთვარე ემუქებოდა.

შორს ისმოდა ხმაური,  
ტრიალებდნენ ბიჭები,  
გზა — თოვლით დაფარული —  
ირღვეოდა ნიჩბებით.

სცემდა ყინვის მახვილით  
 ქარი ბასრი, ძლიერი;  
 ქუხდა კვლავ შეძახილი:  
 — არ ჩამორჩეთ იერიშს!..  
 — შენ კი! რად არ გვეშვები!  
 ჯერ ტყეა უდაბური,  
 — ნინო, გაითოშები!  
 — ნინო, სახლში დაბრუნდი!!  
 ქალი ნიჩაბს იქნევდა  
 და მისდევდა კვალდაკვალ,  
 — ნინო თქვენთან იქნება,  
 იმ მთასაც რომ გადახვალთ!  
 და მისდევდნენ კიჟინით,  
 ზანზარებდნენ კლდეები,  
 ქუხდა ქარი გიჟივით,  
 ნაპრალს ანადევნები.  
 ეს ზეგანიც გალიეს,  
 გზა ჯერ კიდევ დიდია,  
 ოფლი თოვლში გარიეს  
 და კვლავად წინ მიდიან.  
 ქარი ისევ ავობდა,  
 ქარი განახელები,  
 იდგა თოვლის ზვაობა,  
 ხრიალებდნენ ხეები.

6

ქოხში ვარდივით ბრწყინავდა ცეცხლი,  
 თვლემდნენ კედლები შავად ნამური,  
 და იჯდა მწყემსი მუხლმონაკეცი,  
 ფიქრით, ოცნებით გადანამული.  
 იჯდა მწყემსი და  
 მიხურულ კართან  
 თეთრი ნამქერი დათამაშობდა,  
 მას მოაგონდა სიმწარის გარდა,  
 უღარდებლობით სავსე ბავშვობაც.  
 აგონდებოდა პირველი შუქი  
 ნინოს თვალთაგან ცეცხლის მიმცემი;

თმა მთვარის ეშხით გადანამუქი  
და მწიფე მკერდზე სავესე ბორცვები.

აგონდებოდა, პირველად როცა  
ბედის მსურველნი შეხვდნენ ტოლებად,  
აგონდებოდა პირველი კოცნა,  
მკლავთა მოხვევა და შეჟრჟოლება.

აგონდებოდა თითქოს და შურით  
დატევრილ ხესთან ნათევი ღამე,  
ნინო თვალწარბებგადმოგიშრული,  
ყელდაბროლილი და მომღიმარე.

და ახლაც ღამეს ათევედა იგი,  
ათევედა სევდით შენაჟსკვალეები,  
იდგა უძილო წუთების რიგი  
და ცეცხლს უმზერდა ცეცხლის თვალებით.

გარეთ მეფობდა ბასრი სიცივე,  
მოკასკასებით იწვა ზამთარი,  
მწყემსმა ზარალი ვერ აიციდინა,  
ცხვრები გაუწყდა ოცდაათამდე.

გუშინწინ ზვავმაც ჩახოცა ბლომად,  
ფარას დააკლდა საგრძნობლად თითქმის:

— რა მძიმე გახდა ეს შემოდგომა,  
ო... ეს ზამთარი,  
ეჰ, რალა ითქმის!..

ასე ფიქრობდა მწყემსი და მართლაც  
უცემდა გული ნაღველით სავსე.

— გიგუ! —

შესძახა ვილაცამ კართან.

და ადგა მწყემსი ნაცნობის ხმაზე.

გაიღო კარი...

ბუხარი ნათობს

და მწყემსი დარჩა დუმილში ერთხანს...

— რასა იქ, ძმაო?!

დაგტოვე მარტო...

— ო, ზურა, შენ ხარ?! —

დასხდნენ,

ახსენეს საქმე მწუხარე

და შეეჭიდნენ ფიქრებს შებურვილს;

იზიარებდა სევდას ბუხარიც,

ოქროს ნაკვერჩხლებდახვავებული.

გათენდა.

სივრცე გადაწმენდილა,  
გადმოიხედა ფერდომ ტყიანმა,  
ციდან მზის შუქი გადმოედინა,  
სპეტაკი თოვლი ააბრჭყვიალა.

ცივ ქარს გარემო გადაეთელა  
რალაც უხილავ, მძლავრი კუნთებით;  
ხევგალმა სჩანდა კლდე ვებერთელა  
თოვლით თოვლისფრად ნაჩუქურთმევი.

მოინახულეს მწყემსებმა ფარა,  
ანთებულ თვალებს სევდა ებურა.  
ჩქვე ოცამდე ცხვარი ეყარა,  
იღვნენ ძაღლები დაყუჩებულად.

შეჩერდა ვიგუ.

— დიდი თოვლია! —

— მაგრამ ფარა კი მაინც დაგვრჩება.

ორი დღე კიდევ...

— და გადმოვლიან?

— თუ კიდევ ზვავმა არ შეაჩერა.

— თოვლს ასე უცებ არ მოველოდით,

კიდევ დრო იყო წასვლის ვადამდე,  
მერე და როგორ ცხვრებს ვფარველობდი,  
მე ლამეები ყელს მილადრავდნენ.

შორსა ვართ, ძმაო,

ამ ოხერ მთაზე.

სიმარტოვეა, გული ბინდდება.

ჩიტის ჭიკჭიკის გაგონებაზეც,

ჩემი ბიჭიკოს ნახვა მინდება.

აქ კი? მაწამებს ქარის თარეში;

რუხი ნისლებით ხევის ავსება;

კაცი საყვარელ ცოლის გარეშე

ფრთამოჭრილ ფრინველს დაემსგავსება.

შენც ჩემთანა ხარ,

შენზე რა მეთქმის.

ეს გასაჭირი შენც შეგხვედრია.

— მაგრამ რას იზამ,

რომ იყოს მეტიც...

— ვიტყვი, ეს მთაში მწყემსის ხვედრია:

ჩემმა სოფელმა მომანდო საქმე,  
ვნალელობ, კარგად ვერ მოვემსახურე.  
მაგრამ რა ვუყო,  
რა ძალმიძს აქ მე?

ვხედავ ქარებით კლდეებს დახრულებს.

მქონდა სურვილი,  
გული კვლავ მერჩის,  
(თითქო ამ მთიდან მოსკოვი მოსჩანს)  
მე მითხრეს შარ'მან: ბელადი კრემლში  
მწყემსს მოეხვია და უთხრა „ყოჩაღ“!

ვამბობდი ბევრჯერ:

ნეტავ მაჩვენა,  
მისი სიტყვები თვალწინ დგებიან;  
მჯერა, რომ იგი გმირად დარჩება,  
ვისაც ბელადის ქება რგებია!

მე კი?

გამქელა ქარმა მზარავმა  
და სამარცხვინოდ დამაზარალა. —

— გიგუ, ნუ სცდები!

მთა ავდრიანი,  
გვინახავს ბევრჯერ ყინვამ დამეხა,  
თოვლი მოვიდა ზათქით, ზრიალით,  
მითხარი, შენ რა დამნაშავე ხარ?!

— ო... როგორ არა,

მთა ნიშანს ჰბადებს  
და შემოდგომამ — წვიმის დროებმა,  
შეგვატყობინა საკმაოდ ადრე  
ცუდი ამინდის მოახლოება.

შევიდნენ ქოხში,

დამშვიდდნენ თითქოს,  
ცეცხლს შეუკეთეს რომ ელვარებდა,  
და დაიღვარა ლულუნა სითბო  
მძიმე ფიქრების გასაქარვებლად.

დასხდნენ. დაპურდნენ.

შეჰყვენ მუსაიფს...

გიგუს ენახა ლამით ზმანება:  
ქარი აშლილი, დაულურსმავი.  
ქოხს მალლა ცაში ანანავებდა.

— რა არის გული,  
რას არ მონახავს,  
დარდით, ოცნებით შემოჯარული,  
ვნახე, არწივმა მთა გადმოლახა  
და მოვისმინე კიდან წკარუნი.

თითქოს ვიყავით ფრენას ჩვეულნი  
მალლა, ლაჟვარდში დავტორტმანებდით,  
და იალალი ასე ვრცეული  
შემოსილიყო ისევ მწვანეთი.

და სივრცე იყო მზით დაფერილი,  
სჩანდა საამო სანახაობა:  
ფარა სავსე და ძირს განფენილი  
ბალახს სძოვდა და ველიც ხარობდა.

— გიგუ! ვაჟკაცი ზღვას გადასცურავს,  
სიცოცხლის ძალა არ დაეღვევა,  
აბა, შეხედე ბელადის სურათს,  
რა გამარჯვებით გვემეტყველება.

— გამიშვი, ძმაო,  
მეც ბიჭად მიცან,  
აღარ ვიგონებ ზარალს გუშინდელს,  
დიდი ბელადის სახელსა ვფიცავ,  
ახლა სიკვდილსაც არ შევეუშინდე!  
და მწყემსმა ფანდურს შეავლო ხელი  
ტკბილი სიმღერის ამოსათქმელად:

„მთამ ნისლი გადაიწმინდა,  
მზე დაეფინა ველადო,  
იცოცხლე, თვითონ სიცოცხლეც,  
ჩვენო მამავ და ბელადო!

საწყალი გლების ოჯახი  
დღეს სიხარულით ფერადობს.  
შენ მოგვაკუთნე სიცოცხლე,  
შენ, საყვარელო ბელადო!

მწყემსს ყელი მოუღერია,  
გადაქცეულა მღერადო,  
შენ გაგვიზარდე ბერია,  
შენ, საყვარელო ბელადო!

მთამ ნისლი გადაიწმინდა,  
მზე დაეფინა ველადო,  
იცოცხლე, თვითონ სიცოცხლეც,

ჩვენო მამავ და ბელადო!..

— გარეთ გახედე! რალაც ხმა მესმის, —  
ზურამ კარები გააღო უცებ,  
განცვიფრებული მობრუნდა მწყემსი  
და მიეფეთა მეორეს გულზე.

და ორივენი გავარდნენ შემდეგ,  
თვალაპყრობილნი უმზერდნენ ზეცა,  
თოვლით დაფარულ ვეება ქედზე,  
გადმოეჭროლა ფოლადის მერცხალს.

ფარეხთან ახლოს დავიდა დაბლა,  
ისევ აფრინდა ორხელ, მესამედ...  
— ვინმე ნაცნობი შიგა ზის ალბათ,  
ან ჩვენი ძმა და მონათესავე.

მფრინავმა სივრცე მოითარეშა,  
ქობს გადმოხედა გაშლილფრთიანმა;  
რალაც ქალღი დაბლა დაეშვა  
და ფარეხისკენ ჩამოფრიალდა.

და მწყემსმა ხელი დასტაცა წერილს,  
გადაიკითხა გიგუმ საჩქაროდ.

— ზურა! გახარო აქ ჩანაწერი,  
მოდო!..  
გახარო!..

მიხვდნენ მწყემსები მოსწრებულ საქმეს,  
ამოიკითხეს ყოველი ბჭკარი:  
„გაშლილ ადგილზე გამოდით აქვე,  
ჩამოვეყრით:

თივას,  
პურსა და  
მარილს!..“

— კიდევ?  
სტქვი, გიგუ, კიდევ მოველი,  
რამ გაგაშტერა?  
როგორ მალელვებ?!..

— კიდევ?  
„მოგეშველებათ მალე სოფელი,  
ახლოვდებან,  
გზას მოარღვევენ“.

გაიქცნენ იქით,  
რკინის ფრინველი

დაფლეთილ ნისლის ნაქრებში იშვა,  
მწყემსებს დაუხვდათ დანაპირები,  
ხელებს უქნევდნენ მადლობის ნიშნად.  
და თვითმფრინავი ვარსკვლავთ ზიარი,  
გაპყვა, ლურჯ სივრცეს, გადაექსოვა,  
და პროპელერის შმაგი ზრიალი  
ბედნიერ მწყემსებს დიდხანს ესმოდათ.  
დაბრუნდნენ.

მოდგა სალამოს ჯერი,  
მზე მთის გადაღმა გადაიწურა.  
მწყემსები ქოხში თვალმლიმარენი  
კვლავ შესცქეროდნენ ბელადის სურათს.  
სიჩუმე მეფობს ირგვლივ სრულიად,  
ბრწყინვალეებს ცეცხლი ოქროს ალივით;  
გაიხსნა ბაგე,  
მწყემსის გულიდან  
ამოშრიალდა სიტყვა: ს ტ ა ლ ი ნ ი !

იდიდოს იგი!  
ამ ყინვის დროსაც  
ძვლებში გვამაგრებს მისი სახელი,  
ის ცის მნათობებს შეესისხლხორცა,  
ის, გაზაფხულის გამომსახველი.

იდიდოს იგი,  
იდიდოს მარად,  
ვინც ყვავილებით შემოსა მიწა,  
ვინც ადამიანს მზე ჩააბარა  
და უნაკლულო სიცოცხლე მისცა!  
იდიდოს იგი სხივში ნახვევი,  
ვისი გენიაც სჩქედს მწვერვალიდან,  
იდიდოს იგი, ვისი სახელი  
მთაში ბალახსაც შეუსწავლია!

8

დაიწყო თოვა,  
გაება ღამე,  
მწყემსები უსხდნენ პატარა ბუხარს,  
უსხდნენ, ფიქრობდნენ და არაყს სვამდნენ.  
გარედ კი ისევ გრივალი ქუხდა.

— საერთო ძალა შკვრივია, მარდი,  
გადმოსცდებოდნენ ახლა ხევიანს;  
ხვალ აღადგენენ გასავალ ადგილს  
და ზეგ დილითვე გვიახლებიან.

— მაშ, ზეგ სოფლისკენ გავემართებით?

— მჯერა,

და კვლავად არ მეფიქრება,  
გზა მზა იქნება ხალხით ნათელი,  
თუმც ამალამვე დაიფიფქება.

— არა უშავს რა,

ველარ დაგვიშლის,  
ველარც ქარი და ველარც სიცივე;  
მთაო, გადმიშვი, მთაო გადმიშვი,  
ნისლის ლეჩაქი შემოიცილე!

— ზურა! მფრინავი რომ გავხდებოდე,  
მეცხვარეობას არ ვინატრებდი;  
გადმოვლახავდი მთებს და ხეობებს,  
გავიქროლებდი ვარსკვლავთა გვერდით.

— შენ ხომ მუშტაკში სწავლობდი წინააღ  
და როგორ მოხდა სოფლად მოქცევა?!

— მამა მომიკვდა...

მას შეეწირა

ჩემი მიზანი, ჩემი ოცნება

მამა მომიკვდა...

ვგონებ შენც იცი,  
მოხუც დედას ხომ ვერ დავტოვებდი,  
და დავუბრუნდი სახლსა და მიწას  
ვითომ დროებით...

და შემდეგ... ცოლი...

ოჯახი მალე....

მიყვარდა ნინო, ველარ ვითმენდი,  
მიყვარდა, როცა ფანდურის ლარებს  
აწკრიალელებდნენ ბროლის თითები.

მახსოვს: გრძნობებმა რომ წამაქეზეს,  
მარტოდ ვიყავით, კრთებოდა ღამე,  
ვერ ავიტანე, მივეყრდენ მკერდზე  
და... ვითამამე!..

შემდეგ გვალხინეს უტკბესი ზრუნვით  
ჩვენ სიყვარულით სავსე გულებმა,  
ახლა ერთ ფიქრით ვართ დარაზმული,  
მივდევთ მეგობრულ ვალდებულებას.

9

თოვდა.

და ისევ თოვლის ფანტელი  
ემატებოდა მთებს და ხეობებს;  
როგორც ფიქრები და ჟრუანტელი,  
ცაზე ღრუბლები მიირხეოდნენ.

მიირხეოდნენ აღმა და დაღმა  
დაუწყნარებელ გრივალის ფრენით;  
საღლაც კიჟინი ისმოდა გაღმა  
და მიიწევდნენ კოლმეურნენი.

იღვნენ ნაძვები ტანშებუმბლული,  
იღვნენ, ნამქერი თეთრად ახვევდა;  
გზას მოარღვევდა ხალხი გუგუნით,  
სჭექდა სიმღერა და შეძახება:

„ქალო, ფიქრით ვარ მღუმარი,  
ფიქრში ვათენებ ღამესა,  
რად უნდა თავს სასთუმალი  
შენს მკლავზე მწოლიარესა!

გუშინ რომ სიტყვა გადმომკარ,  
გული ნაღველით შენამა,  
ან დამარჩინოს, ან მომკლას  
შენი თვალების ელვამა.

სევდა მდევს ოხერ-ტიალი,  
გულო, რა გიყო მგზნებარო!..  
მეზობლის ცოლთან ტრფიალი,  
შითხრეს — არ შეიძლებაო!

მუდამ ფიქრით ვარ მღუმარი,  
ფიქრში ვათენებ ღამესა,  
რად უნდა თავს სასთუმალი  
შენს მკლავზე მწოლიარესა“.

ქვევით ხარხარით გარბოდა ღელე,  
ესალმებოდა დათოვლილ ზეგნებს,

ლევა ბიჭებმა კლდეს ჩაუმღერეს  
და გაღმა ქედზე გამოჩნდნენ შემდეგ.

— ნინო, აქედან სულ მალე გახვალ,  
მალე დაგიხსნით თოვლის ხვავიდან;  
ცინცხალ დილითვე მეგობარს ნახავ  
ხომ გიხარია?!

— და მერე შენ რა?

— მეც კი ამავსებს თქვენი შეხვედრა,  
ჩატკბარუნება თქვენი ტუჩების,  
არ შემშურდება, ისე შეგხედავთ;  
გრძნობის ნიაღვარს გადავურჩები.

უკან ვაუებმა გადიხარხარეს,  
მწველი დაცინვა გივის ახალეს:

— კარგი ბიჭია...

— ვერვინ მოხიბლავს....

— არა უურს სხვისი კოცნის წკრიალი.

— რა ჭკვიანია!

— ო... რა მორცხვია,

გული კაჟივით ნაპერწკლიანი! —

გივი მობრუნდა ბრაზდანთხეული,  
თვალში ჩაუდგა მრისხანე ღამე, —  
ნინო მივიდა ტანდარხეული,  
და უთხრა: კიდევ გვიმღერე რამე!

შემოტრიალდა გივი მდუმარედ  
შეიგრძნო ნინოს ხელის შეხება.

შემოტრიალდა...

ნინომ უმაღვე

თვალდაშაქრული შუქით შეხედა.

შეხედა წუთის სისავსით დამტკბარს  
და თითქოს მოხვდა ქალს სინანული,  
ვაჟს უეცარმა ჟრიალმა დაჰკრა,  
შეუშრიალდა გრძნობა მალული.

და გაჰყვა ბილიკს ფერნამკრთალები,  
შისდევდა ქარი ღუმილით გავსილს  
და ფიქრში შერჩნენ ნინოს თვალები.  
რაღაც შორეულ იმედის მსგავსი.

დაღამდა.

თითქოს ყორანი ფრთებით  
ცისა და მიწის შუაში ჩადგა,  
დაღამდა.

ბინდებს დანებდნენ მთები,  
ტყე შეიჩხა და გაუჩინარდა.

შორს მგლის ყმუილი მთამდე იჭრება,  
და ქარი იწყებს ხესთან ლაპარაკს,  
გზა შეაკეთეს უკვე ბიჭებმა,  
იქ, სადაც ზვავმა ჩაანაპრალა.

და დაბანაკდნენ ლამის მთეველნი,  
გათენდება და ფარებს ნახვენ,  
მათმა ჟრიალმა შესძრა ტყე-ველი,  
კლდეებს შებინდულს თოფი ახალეს.

ხევგალმა იქვე, დახურგულ ხესთან  
გადამალული ლანდები სხედან.

— მე მეცოდები,  
რა ვუყო, რა ვქნა!..

გული შემექნა ცეცხლით ნაფენი,  
ქალიშვილობა გამშორდა, გაჰქრა,  
ვიცი, არ ძალმიძს მე არაფერი.

ახლა თუ გინდა ამ მკერდს გადავშლი  
და შეგიბრალებ ცრემლების ფრქვევით.  
არის ლალატი, მაგრამ ლალატშიც  
საკუთარ სინდისს ვერ გაექცევი!

ნუ დაღონდები ფიქრების ჯარით,  
ამ დუმილიდან შენ მალე გახვალ,  
სხვა სიყვარულზე იყარე ჯავრი  
და ჩემისთანას ბევრს მოგინახავ.

და განრიდებულს გახსოვდეს სიტყვა,  
კვლავ მოგონება თუ მოგერია,  
მე ქმარიც მიყვარს,  
ოჯახი მიყვარს,  
და ყოველმხრივად ბედნიერი ვარ!

დადუმდა ვაჟი.

უნდა დასძლიოს

გულს — სიყვარულით სავსე ფიალას,

მთიდან მოცურდა ფრთამარდი სიო,  
და ქალის თმები შეაშრიალა.

შეაშრიალა,  
ვაჟს მიაფინა.  
ვაჟი აენტო მკერდგახელებით,  
მკლავებგაშლილმა შესძახა:  
„ნინო!“

და ქალს მოხვია ირგვლივ ხელები...  
ჩაქრნენ ლანდები..  
შეირხნენ მალე...  
შეირხა ქარიც მთიდან მოსული, —  
ქალი დარცხვენით ნაბავდა თვალებს  
და იდგა ხესთან ნაბადმოსხმული.  
იდგნენ...  
სიჩუმეს იტევდა ხევი,  
მთვარეს ეკიდა ღრუბლის ნახევი.

11

ქოხში ელავდა ცეცხლის მზეობა  
და ცეცხლის პირად ფიქრების დარი,  
კედელზე შუქი ინაზებოდა  
და მანათობლად დნებოდა კვარი.

სხედან მწყემსები,  
ქარი გასწივის...  
სხედან მწყემსები, ვახშობენ თანაც,  
დღესაც მოფრინდა მთიდან არწივი,  
ცხვრებისთვის თივა ამოიტანა.

შეხედეს ზეცას სილურჯით მდიდარს,  
და დაფლეთილი ქარების ბორგვას,  
პარაშუტისტიც დაეშვა ციდან,  
შემოიკეტა გაშლილი ქოლგა.

და ახლა ქოხში სხედან სამივე,  
არაყი შესვეს, შეთვრნენ კიდევაც,  
შეთვრნენ.  
მღერიან მრავალჟამიერს  
და საყვარელი კაცის დიდებას.

სხედან მწყემსები და მედიდურად  
იხსენიებენ სამშობლო მთაბარს  
და თბილისიდან მოფრენილ სტუმარს,  
ეკითხებიან ქალაქის ამბავს.

— ძმობილო, გვითხარ იმისი გვარი,  
ვინაც არწივით მოგვინახულა.  
ციდან გარეკა ღრუბლების ჯარი  
და გაუშლელად ხევში ჩაჰყურა.

— ჭანკოტაძეა,  
კაცი მხნეგული,  
იგი ქარიშხალს ბევრჯერ შებშია  
და გადმოსულა გამარჯვებული  
კავკასიონის მწვერვალებიდან.

— აი, ვაჟკაციც იგი ყოფილა,  
ჩვენ აქ გაკაფულ გზებზე დავდივარა,  
ვხედავდი, ცაზე გრგვინვა მოჰფინა  
და მზის სამეფო გადინადირა.

— აბა, მე რა ვთქვა მთაში შობილმა,  
მამას ქალაქად არ გავუშვივარ;  
ძმავ, ვაჟკაცი შენაც ყოფილხარ,  
რომ გადმოეშვი ციდან უშიშრად.

სთქვა ზურამ დინჯად.

წარბი შეხარა,  
მოსულ სტუმარზე ძმად შეფიცულა, —  
ასე საუბარს შეჰყვნენ ერთხანად  
და შუალამე გადაიფურცლა.

მთვარემ სხივები გადმოაფეთქა  
და შეეხამა თოვლის სინაზეს;  
კვლავ მიიძინა მწყემსებთან ერთად  
სტუმარმა ქონში გაშლილ თივაზე.

განთიადისას გამოჩნდნენ შორით  
მთის კორტოხები როგორც შუბები;  
მთა შენამქრული ქარების ქროლვით  
და ქვევით ხევი ნაპირქუშები.

ჩაწურულა და სადღაც ჩაღვრილა,  
ლამე კუპრისფერ სისხლის თქრიალით  
და დაზამთრებულ მთის სიმაღლიდან  
მზე აყვავილდა ქერათმიანი.

კლდე ახმიანდა თოფის გრიალით,  
ნისლი კლდის ქიმზე გადაელანდა;  
ახლოვდებოდნენ მგზავრნი გვიანნი  
სოფლის ბარაქის დასახსნელადა.

— გიგუ! გახედე!..

აი, მოდიან!

თვალი თუ გიჭრის დანახვა შესძელ! —  
იღგნენ მწყემსები და ბექობიდან  
კოლმეურნენი მოჩანდნენ სერზე.

— მეც დამანახვით! — სთქვა ქალაქელმა  
და ბინოკლიდან გახედა დინჯად.  
გზა უცებ ქარმა აანამქერა,  
ხალხს ღელეს აქეთ გამოებიჯათ.

ბიჭებს აღმართი ამოერბინათ  
და შეეფეთნენ ფარებს ფარულებრ,  
მწყემსნი დაეშვნენ,  
დაუხვდნენ წინა,  
თოფის ხმაურით შეეხმაურნენ.

გამოჩნდა ყველა, მწყემსებთან ხვევნით.  
გიგუ შესდგა და უცებ გაკვირდა;  
ნინო პირდაპირ მიიჭრა ცხენით,  
ვაჟმა შესძახა:  
„შენ აქ რა გინდა?!“

გადმოხტა ქალი,  
მთებზე ნაგელვი,  
წუთით დაებნა სიტყვა კანკალით.  
ამოიკვეთა ცეცხლის ბაგეთი  
ნინოს ლოყაზე კოცნის ვარსკვლავი.

ასე, შეგროვდა ხალხი ბინებთან.  
ნახეს ცხვრები და  
ნახეს ზარალიც.

გიგუს აღმოხდა მკერდში გმინება  
შენამკრთალი და დაუფარავი.

შემდეგ ამინდი ყველამ დაზვერა  
და დაბრუნება მაშინვე დათქვეს,  
გამორეკეს ფარა გზაზე და  
ქვევით, ბარისკენ გამოემართნენ.

ხეობებს ჯანყი გადაეყარათ,  
შეფუთნილიყო თეთრად ბუნება.  
და მეორე დღეს — სალამოს ხანად  
სოფლად ჩავიდა ყველა უვნებლად.

---



ვლადიმერ მაიაკოვსკი.

# ქდასიური მემკვიდრეობა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

## ვადიუკასი თბილისი

როგორც კი დავადგი  
ფეხი კავკასიას,  
მყისვე გამახსენდა,  
რომ მე ქართველი ვარ;  
მყინვარი,  
ყაზბეგი,  
და კიდევ გქვიათ?..  
მთა მთაზე,  
მე მათი სახელიც მერევა..  
აქ მოხეტიალე  
გადვიცვამ ახალუხს,  
დღეს უკვე  
ხალათი  
ტანზე არ მერგება;  
ისეთი ცხენი მყავს  
მე ყარაბახული,  
როილსსა(¹)  
მოუნდეს შექება.  
მე მახსოვს:  
აქ ურდოს  
მოვეყევი დამწვარი;  
ამბავი ძველია ძალიან,  
ორათას წლის უკან  
ქვეყნებში წანწალით  
მოვადექ  
აგერ ამ  
დარიალს.

¹) როილსი — ავტომობილის მარკაა.

მე ერთ მოლექურეს  
და სულით მეთარეს  
ასწლები  
ცხელ ოფლში მყურავდნენ.  
მე განვვლე ეს მიწა  
და მუშად ვიარე  
აქედან  
ბათომის ყურამდე.  
ამ საქმის  
არა ჩანს  
დღეს სახსენებელიც,  
ძველი ისტორია  
დიდი ცრუ რამ არის,  
ბრახუნებს:  
რომ, იყვნენ  
აქ მხოლოდ მეფენი  
ირაკლი,  
დავითი,  
თამარი.  
კედლების  
მეცნობა  
აქ ყველა მტკაველიც,  
ეს ციხეც  
ის არის,  
ეგრე გავს;  
აქედან ვუბღერდი  
შოთა რუსთაველი  
თამარს დიდ სიყვარულს,  
მეფე-ქალს.  
შემდეგ  
თერგს მივქონდი  
მე ძვლების ჩხარუნით,  
ტალღა რომ  
თავზე ქაფს უკეთებს;  
ეს კიდევ რა არის!  
მეფის სიყვარული  
იცნობდა გასართობს  
უკეთესს.

შემდეგ კი  
ვიხილე —  
ამ კლდეთა კარებით,  
ამ ვიწრო ბილიკით  
მზიანით,  
ველებს და  
მიწურებს.  
რუსეთის ჯარები  
ჩამოჰყვენენ ჩინმენდლებიანნი.  
ზარმაცად,  
ნელინელ  
ვიდოდი მაღლა  
გიტარას  
სიმღერას  
ვამღერდი ერთს: —  
„მხოლოდ შენ ერთს,  
რაც რომ ჩემთვის  
მოუცია  
მალლიდან ღმერთს“...  
და თავისუფლების  
დილაც სუსხიანი  
დგება —  
ეს ხსოვნაა წუთისა:  
და აი  
მე ვისვრი  
მე გმირი არსენა  
ყუმბარას  
იმ ცხრაას ხუთისას.  
დაჰქროდნენ პაუებად  
ბატონისწულები,  
მე კი  
იმ წლებში რომ დამდაღეს,  
ყოველდღე ვიხსენებ  
ტკივილით,  
წყლულებით  
იმ ალიხანოვის  
მათრახებს.

მერე  
აქ გრძელდება  
      დრო ჩამობინდული,  
და ვხედავ  
      ერთ მუჭა მმართველებს,  
ეს ვიგინდარები  
      თვით მტკვარზე მღვრიენი  
აქ ფრანგებს  
      ხელს ტლოშნით ართმევენ.  
ოცი,  
      და იქნება მეტი საუკუნეც,  
ვათრიე  
      მჩაგვრელთა ხუნდები,  
დღეს კი აქ  
      დროშები  
      ფრენს ბოლშევიკური,  
სხვა საქართველოში  
      ვბრუნდები.  
ღიად,  
      ქართველი ვარ  
      ახალი ნაციის,  
არც დავიწყებული  
      მხარისა,  
მე შემავალი ვარ  
      ერთ ფედერაციის  
საბჭოთა დიდ მთა და ბარისა.  
ბნელდება ხსოვნაში  
      ყრუდ და  
      შემზარადად  
წარსული, სისხლი და ხანჯალი.  
ჩვენ ვდულვართ,  
      ჯერ ღვინოდ  
      დამდგარი არა ვართ,  
ჯერ კიდევ  
      ვართ მხოლოდ მაჭარი.

მე ვიცი:

უმღერდნენ  
ელემს და სამოთხეს

მაგრამ თუ ლექსავდნენ  
ოცნებით,

ალბად საქართველო  
ელემად გამოჰყვეს

მასზე თუ მღეროდნენ  
მგოსნები.

მე ველი:

ამ მთებში  
ჰაერო აფრინდეს

საყვარელ ქალივით  
იმედი მეგულვის:

რომ ვნახო მის კუდზე წარწერა  
„თბილისი“

დაეკრას ბეჭედი  
აქ დამზადებულის.

დიად, ქართველი ვარ  
და ვის ესურვება

მიწოდოს მეც კინტო  
მსმელი და აშარი,

მე ველი

საყვირმა დასჭექოს  
ზურნებად,

სად კინტო იდგა და  
ვირების ლაშქარი.

პატივს ვცემ მე ქართველ  
პოეტებს. მადლიანს,

კარგია ეს ჰანგი,  
ზურნაც და  
დაირიც,

მაგრამ დღეს მწყურთან მე მათზე აღრიან  
ქარხნების სიმღერა,

ონკანთა შაირი.

აშენე,  
იმ ძველის  
დანგრევაც მოასწრე  
და ახალ სართულებს  
ჩაუდექ დარაჯად,  
ყაზბეგიც რომ საქმეს გიშლიდეს —  
მოაძრე,  
რა უშავს —  
ნისლებში  
მაინც ხომ არა ჩანს.

მთარგმნელი დრაკლო აბაშიძე

## დონნა კლარა

სალამო არის... განმარტოებით  
ალკადის ქალი სეირნობს ბაღში,  
მალალ კოშკიდან მოისმის მძლავრი  
მუსიკის ჟღერა, გრიალი ტაშის.

„მომწყინდა ცეკვა და რაინდების  
სიტყვები ზიზღს მგერის და მეზარება,  
ფარისევლურად რომ მადიდებენ,  
და უყვართ ჩემი მზის შედარება.

„ალარ მიზიდავს აქ არაფერი,  
მას შემდეგ, რაც კი ვნახე ნარნარი —  
რაინდი, ბარბითს რომ აჟღერებდა,  
ნათელ ღამეში სარკმელთან მდგარი.

„ის ტანადია, უელავს სხივით  
თვალი ლამაზი და მშვენიერი,  
წმინდა-გიორგი არის ნამღვილი  
კეთილშობილი სახის იერით“.

ასე ფიქრობდა დონნა კლარა, და  
დასცქერდა მიწას მოწყენილ სახით,  
როს გამოერკვა — ხედავს მის წინ დგას  
უცნობი ტურფა, რაინდი ლალი.

იგი ხელს ართმევს და სასეირნოდ  
გაიწვევს ბაღში — ტრფობის მსურველი,

გრილი ზეფირი შრიალებს ნაზად,  
ბალი სავსეა ვარდთა სურნელით.

ტოკავენ წყნარად, ზღაპრულად თრთიან  
ყვავილნი, ტრფობის ლოცვად ქცეულნი,  
— მითხარი ტურფავ, რისთვის გაწითლდი,  
თვალეებს რად გინთებს ცეცხლი გრძნეული?

— ო, საყვარელო, მუმლების გროვა  
შემომესია, მკბენს გახელებით,  
მუმლი ზაფხულში ზიზღსა მგერის ისე,  
როგორც გრძელცხვირა ებრაელები.

„თავი ანებე მუმლს და ებრაელთ!“  
ამბობს რაინდი ალერსით სავსე,  
და აყვავებულ ნუშის ხეთაგან  
თეთრი ქულები იფრქვევა გზაზე.

თეთრ ყვავილებით მოქარგულ ბაღში  
დგას სურნელება საამო, ტკბილი,  
— ტურფავ, მითხარი, გულს ხომ  
გითრთოლებს  
ჩემდამი ტრფობის მწველი სახმილი?

— დიახ, მიყვარხარ, სატრფოვ ძვირფასო,  
მოწამე არის თვით მაცხოვარი,  
ღვთისმგმობელ ბოროტ ებრაელთაგან  
გაყიდული და ღალატით მკვდარი.

„თავი ანებე ქრისტეს, ებრაელთ!“  
ამბობს რაინდი ალერსით მთვრალი,  
თეთრი ზამბახნი, მოკამკამენი,  
ნარნარად თვლემენ, თრთიან შრიალით.

თეთრნი ზამბახნი, მოკამკამენი  
შუკქერენ ვარსკვლავთ ლაჟვარდი სივრცის,  
— სატრფოვ, მითხარი, ხომ არ მატყვილებ,  
იქნებ ყალბია ეგ შენი ფიცი!

— არა, არ არის ჩემში სიყალბე,  
როგორც ჩემს მკერდში წვეთი არ არის.—  
სისხლი წვირიან ებრაელისა  
და შავკანიან, ველური მავრის.

„თავი ანებე ზანგებს, ებრაელთ!“ —  
ამბობს რაინდი ალერსით მთვრალი.  
და ყვავილების ლურჯ ხეივანში  
შეჰყავს ფარულად ალკადის ქალი.

ჰკოცნის უსიტყვოდ, მკერდს ეკონება,  
მწველ ნეტარებით ენთება გული,  
და სიყვარულის უხილავ ქსელში  
უკვე გაება ტურფა ასული.

ამ დროს ბუღბუღმა იწყო საამო  
და საქორწილო გალობა ტკბილი,  
ციცინათელამ ლამაზი მდელი  
გადაანათა ოქროს ყინულისით.

მწვანე ბაღნარის ღრმა მღუმარებას  
არღვევს მარტოდენ — მოულოდნელი —  
ნელი ჩურჩული ნაზ მირტებისა  
და ყვავილთ სუნთქვა სიამის მგვრელი.

უცებ ბუკებმა და ლიტავრებმა  
კვლავ იწყეს კოშკში ეღერა-წკრიალი,  
და ლალ რაინდის მკერდს ჩახვეული  
გამოაფხიზლეს ალკადის ქალი.

— სატრფოვ, მიხმობენ, უნდა დაგშორდე,  
მისმინე თხოვნა უკანასკნელი,  
შენს ვინაობას რისთვის მიმაღავ,  
მითხარ, ძვირფასო, შენი სახელი!

რაინდს აანთებს ღიმი ფარული,  
სატრფოს ხელს ჰკოცნის ალერსით სავსე.

ვამბორება ბაგეზე, შუბლზე  
და დონნა კლარას მიმართავს ასე:

— მე, სინიორა, თქვენი მიჯნური  
თქვენდამი ტრფობა გულს მინთებს ვისაც,  
ვარ შვილიშვილი ცნობილ რაბინის  
სარაგოსელი იზრაელისა!

მთარგმნელი გერმანულიდან

ხ ა რ ი ტ ო ნ ვ ა რ დ ო შ ვ ი ლ ი

# ხალხური შემოქმედება

## ქვეყანას ლარი გავაზი, სიმეზი ჩონჭურისაო!

ვინ მაიგონა ტრაქტორი, ვინ იყო იმის ჭკვისაო,  
რკინა ააწყო ერთურთზე მაგარი ფოლადისაო.  
სამოცი ცხენი ძალა აქვს, როგორ მინდვრებსა მკისაო!  
ვეცდები, მისი სწავლისთვი არ მოვიკიდებ ძილასო,  
რომ შევასრულოთ პირნათლად სწავლება სტალინისაო!  
კომბაინებიც დახშირდა, გამლენიანა ძნისაო.  
თავისუფლად ვმუშავობთ, აღარ შიში მაქვს მტრისაო.  
ტრაქტორით გავალ ველზედა, ხენა მიყვარს მინდვრებისაო,  
არ მავიწყდება ანდერძი, არც სიტყვა ლენინისაო!  
სტალინის სახელს ვადიდებ, ვენაცვლე კოლექტივისაო!  
სტალინო, შენ ხარ იმედი საბჭოთა საზღვრებისაო!  
შენ ააყვავე ქვეყანა, შუქი მოფინე მზისაო!  
შენ არ დაგკარგავს ქვეყანა, როგორც რო დედა შვილსაო.  
აზრი და ფიქრი შაიკრა მუშა და გლეხებისაო.  
ერთად ვმუშაობთ სუყველა, ერთად ვატარებთ ღვინისაო!..  
ჩვენი ღვინისთვი ჩვენს მტრებსა ცრემლები ჩამოსდისაო.  
დაჯგუფებულან მუშები, ბრიგადა ბრიგადისაო!  
კოლექტიურსა ცხოვრებას ხმა მოსდევს სიმღერისაო!  
სტალინო, ქვეყნის ბელადო, პირი შენ გიჭირს ხმლისაო.  
შენ ააშენე სიმაგრე, კედლები ქვითკირისაო!  
შიგ ცხოვრობს მუშა და გლეხი, წვეთიც არ ჩამოსდისაო.  
შიგ ელექტრონი აანთე, რადიოც წმინდა ხმისაო!..“

მთქმელი ვანო წიკლაური  
(ვაკე, ალბულაღის რაიონი)



იაკობ ბალახაშვილი

### მაცნის გორკის ჩამოსვლები საქართველოში

ზამთარს გაზაფხული სცვლიდა, როცა 1891 წელს ერთ ჩვეულებრივ დღეს ახალგაზრდა ალექსი მაცხისმცხე პეშკოვი ღონის გზით ნიჟნიდან ცარიცინს მივიდა.

გაიარა უკრაინა, ღონის მხარე, ნოვოროსია, ბესარაბია დუნაიმდე. ხარკოვში გზად გავლის დროს ჩამოხტა ერთ მონასტერში, სადაც ორმა „სტრაჟნიკმა“ ყველაფრისაგან გასცალა.

ხარკოვიდან ოდესამდე ფეხით მივიდა.

ოდესის ნავთსადგურში პეშკოვი გაეცნო ს — ძეს, რომელიც გორკის მოთხოვაში — „ჩემ თანამგზავრში“ შექრო ფთაძედ არის ცნობილი.

ს — ძე ამ შეხვედრას ასე იგონებს:

„პეშკოვი გავიცანი ოდესაში, სადაც მე სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ბათომში ამხანაგმა ნივთები მომპარა და ოდესაში წავიდა. მე უკან გამოვუდექე, მაგრამ ქურდი ოდესაში ვერ აღმოვაჩინე. გავიდა ორიოდე დღე და ფული სულ შემომხეხარჯა. გზის ფულს ვიღაც სჩიოდა, პურისთვისაც აღარაფერი გამაჩნდა, ღამეს ბაღში ვათევდი, სადაც ჩუმად გადავძვრებოდი ხოლმე. ბოლოს გადავწყვიტე ასე თუ ისე, გემში ჩაჯდომა და ბათომისაკენ წამოსვლა.

ამ აზრით ნავთსადგურში წაველ და განმარტოვებით დავდექით თითქმის ორი დღის უჭმელი ვიყავი და ძალზე მშვიოდა. ტანისამოსი კარგი მეცვა თითქმის ახალი, ამასთან ევროპული და არა ჩონა-ახალუხი.

ამ დროს ჩემთან მოვიდა ზორბა, მაგრამ ძველ და დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი, რომელმაც შაური მთხოვა. თვითონ მშიერი ვიყავი და ეს კი ფულსა მთხოვდა. ჩემი ამბავი გადავეცი. ბოლოს ერთმანეთი გავიცანით. ახალი ჩემი ნაცნობი პეშკოვი გა-

მოდგა, ნიუნიროვგოროდელი. პეშკოვი ესე 22 — 23 წლისა იქნებოდა, ზორბა ტანადობისა, მაღალ-მაღალი, მხარბეჭიანი“. 1)

„იმ დღეს, — განაგრძობს ს — ძე, — რა დღესაც ერთმანეთს შევხვდით, ორივენი მშვიდრები ვიყავით. მე ერთი „ტროსტი“ მქონდა, პეშკოვმა გამომართო ეს „ტროსტი“, გაჰყიდა ექვს შაურად და პური იყიდა. ღამე ბაღში გავათიეთ. მეორე დღეს სამუშაო უნდა გვეშოვნა, მაგრამ ვერა ვიშოვეთ — რა“. 2)

ახალი ნაცნობები ოდესიდან 18 აგვისტოს შუადღის 12 საათზე გავიდნენ. ნიკოლაევამდე შვიდი დღე იარეს. ვერც იქ იშოვნეს სამუშაო. იქ უთხრეს — „ხერსონიდან ეხლა გემი გადის ბათომში, თუ ჩაუსწრებთ, ის წავიყვანთ სამადლოთო.“

წავიდნენ, მაგრამ გემს ვეღარ ჩუსწრეს.

ხერსონიდან სიმფეროპოლში მივიდნენ, მაგრამ სამუშაო ვერც იქ იშოვნეს. მაშინ პეშკოვმა გადასწყვიტა საქართველოში ფეხით ჩამოსვლა.

სიმფეროპოლიდან „მგზავრები“ იალტაში ჩავიდნენ. ორივეს ძალზე შიოდა. ბედად პეშკოვმა სამკაპიკიანი იპოვნა, პური იყიდა; ოდნავ შენაყრდნენ და უბილეთოდ ავიდნენ გემზე. კაპიტანმა მთელი საათი ღანძლა „დაუპატიჟებელი სტუმრები“ და ფეოდოსიაში მისვლისთანავე ჩამოსვა ფსინი.

შემდეგ კერჩი, ტამანი, ეკატერინოდარი, კავკავი. კავკავიდან თბილისამდე — შვიდი დღე.

ს — ძეს არ უნდოდა დღისით თბილისში შემოსვლა, ნაცნობების რცხვენოდა, ამიტომ ქალაქ გარეთ მოიცადეს საღამომდე.

შებინდებისას ვერიდან შემოვიდნენ ქალაქში.

„რკინის გზის სახელოსნოში, — მოგვითხრობს ს — ძე, — ჩემი შორეული ნათესავი მსახურობდა ზეინკლად და იმასთან მივედით. პირველად ვერ მიცნეს: მეცა და პეშკოვიც აღქაჯებსა ვგვანდრთ, თმა გაუკრეჭავი და ძველ ნაფლეთებში გამოწყობილი. შემდეგ მიცნეს, შეგვიყვანეს.

პეშკოვს ვილაც ნაცნობი ჰყვანდა რკინის გზის გამგეობაში, მთხოვა, მეორე დღეს იქ წავსულიყავით“. 3)

ეს „ნაცნობი“ იყო მიხეილ იაკობის ძე ნაჩალოვი, რომელსაც ჰიეკედლა ალექსი მაქსიმეს-ძე.

1) გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. № 2302.

2) იგივე წყარო.

3) იგივე წყარო.

პეშკოვი კარგა ხანს უსაქმოდ იყო თბილისში. ამბობდა ხოლმე: „ახლა კი წავალ აქედანო“, მაგრამ არსად არ მიდიოდა.

ამავე ხანებში პეშკოვი დაუკავშირდა თბილისში არსებულ რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობის წრეს, რომელშიც თავს იყრიდნენ „უფრო ხნიერი მოქალაქენიც“, ციმბირიდან დაბრუნებული „ნაროდნიკები“, რომელთაც ალექსანდრე მეორის მოკვლაში მონაწილეობის მიღებისათვის ის იყო ციმბირში სასჯელი მოეხადათ და ახლა საქართველოში გადმოესახლებინათ.

წრე თავს იყრიდა ჩუღურეთში.

ნაჩალოვი, რომელთანაც სცხოვრობდა პეშკოვი, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ეზოვნა მისთვის სამუშაო. ჩვენში ცნობილი ხალხოსანის ექიმ ნიკოლოზ ხუდადოვის დახმარებით იგი მოეწყო რკინიგზის სახელოსნოში.

ამხანაგ სტალინის სახელობის ვაგონებისა და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხნის არხივში ინახება „მატრიკულიარული წიგნი“, რომელშიაც სწვრდნენ ქარხანაში მიღებულთა ვინაობას, სამსახურში დაწინაურებას, დათხოვნას და სხვას.

ამ „წიგნის“ მე-770 გვერდზე გრაფაში „ქვეშევრდომობა, წოდება, სარწმუნოება, რომელ გუბერნიიდან, მაზრიდან და სოფლიდან, ცოლიანი თუ უცოლო და რამდენი წლისაა,“ — სწვრია:

„ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიიდან, მართლმადიდებელი, უცოლო-შვილო, 22 წლისა, ალექსი მაქსიმეს-ძე პეშკოვი“.

როგორც შემდეგ გრაფაში ჩანაწერიდან ჩანს ა. მ. პეშკოვი სამსახურში მღებავად მიუღიათ 1891 წლის 10 დეკემბერს. სამუშაო მარკა № 1824. დღიური ხელფასი დღეში — მანეთი. ამ თანამდებობაზე მან დაჰყო 1892 წლის 1 თებერვლამდე.

1892 წლის 1 თებერვლიდან მღებავი ა. მ. პეშკოვი დაინიშნა აღმნიშვნელად რკინიგზის სახელოსნოებში. პეშკოვი მსახურობდა აქ 1892 წლის 21 სექტემბრამდე.

ამ ხნის განმავლობაში პეშკოვი სისტემატურად დადიოდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩუღურეთში არსებულ ახალგაზრდობის წრეში.

აქ ეწეოდა ის კულტურულ მუშაობას თავის ნაცნობთა თვითგანვითარების ასამაღლებლად, აქვე ვარჯიშობდა ის დრამატიული ხელოვნების დარგში. სხვა და სხვა მონოლოგების კითხვით და აქვე ატარებდა დროს ხშირად გამართულ საცეკვაო, თუ სალიტერატურო საღამოებზე.

სცენით გატაცების გარდა მაქსიმიზმი დიდ ყურადღებას აქცევდა წრეში ლექციების კითხვას. მან რამდენჯერმე მოინდომა ლექციის წაკითხვა, მაგრამ ვერ უხერხდებოდა, მხოლოდ ერთხელ მოუხერხდა: ეს იყო ლექცია ხელოვნებაზე, ლექციის სახელად მან აიღო შილერის ტრაქტატი ხელოვნებაზე და მშვენიერი ენით გადმოსცა მსმენელებს ამ ტრაქტატის შინაარსი სრულიად გასაგებად და პოპულარულად.

ლაპარაკი მისი სტიქია იყო. ლაპარაკობდა მდაბიოდ, გასაგები ენით, რუსული კილოთი და, შეიძლება ითქვას, მეტად მიმზიდველი ტონით. ამ მხრივ მას ტოლი არ ჰყვანდა. მისი მოხდენილი და მიმზიდველი მუსაიფი იყო იმის შიზეზი, რომ ნაკლებად შნოიანი ახალგაზრდით გატაცებული იყვნენ თბილისელი მისი ნაცნობი ქალებიც. გარეგნობით არა მომხიბვლელი, ის ერთი ნახვისთანავე იტაცებდა ქალებს და მერე ის ქალები მზად იყვნენ განუწყვეტლად ესმინათ მისი ტკბილი ენით ნაამბობი მოთხრობები.

არა ნაკლებ სიყვარულით და ხალისით დადიოდა და მუშაობდა ალექსი მაქსიმეს-ძე „მასწავლებელ ქალთა წრეში“.

ორივე წრეში პეშკოვი გაეცნო და დაუკავშირდა თითქმის ყველა მათ, ვინც ამხანაგ, ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა ს სიტყვის თანახმად, „მარქსიზმის პირველი თესლი ამიერ-კავკასიაში 90-იან წლების პირველ ნახევარში შემოიტანეს“. <sup>4)</sup>

„ჩუღურეთის ახალგაზრდობის წრეშივე“ გაეცნო ალექსი მაქსიმეს-ძე დაუფიწყარ ბელეტრისტს ეგნატე ნინოშვილს.

„არ მახსოვს კარგად, — სწერს სერგო რობაქიძე, — 1891 თუ 1892 წელში ეგნატე სოფლიდან ჩამოვიდა თბილისში და, რასაკვირველია, როგორც უბინაო კაცი, ესტუმრა ჩვენს ჩუღურეთის კონსპირატიულ ბინას.

სოფლიდან ჩამოსული ეგნატე ამ თავშესაფარში დაბინავდა. ერთ კვირადღეს ეკლესიიდან გაპარული ინსტიტუტის მოწაფეები ჩვენს ბინაზე მივედით, რათა წირვის გამოსვლამდე იქ დავრჩენილიყავით; ამ ბინაზე დაგვხვდნენ ახლად ჩამოსული ეგნატე ნინოშვილი და ალექსი პეშკოვი. მისულებმა თან მივიტანეთ გაზეთ „ივერიის“ ნომრები, რომლებშიაც დაბეჭდილი იყო ნინოშვილის ერთი მოთხრობათაგანი.

<sup>4)</sup> ლ. ბერიძე: „ა.-კავკ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1935 წ. გვ. 17.

მოთხრობა წავიკითხეთ და ყველანი ეგნატეს დავუტრიალდით: ვაძლევდით შეკითხვებს მისი მოთხრობის შესახებ. პეშკოვი ნაღვლიანი სახით მისჩერებოდა ჭლექით დატანჯულ ადამიანის სახეს და გულდათუთქული ხმით ეუბნებოდა მას: „Ты счастлив, товарищ, тем что своими глазами видишь, как любят и уважают тебя“.

ეგნატემ თავისი რუსულის იმერული გამოთქმით უთხრა ალექსი პეშკოვს: „Напиши то, что ты так хорошо рассказываешь и тоже увидишь, как все полюбят тебя.“

ეგნატეს ხშირად უამბობდა ხოლმე პეშკოვი, — დასძენს სერგორობაქიძე, — თავის თავგადასავალს და იგი ხედავს, რომ ასეთი მოსაუბრე პიროვნება კარგად დაწერასაც შესძლებდა.“<sup>5)</sup>

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უკვე საქვეყნოდ ცნობილი მაქსიმ გორკი ეგნატე ნინოშვილის შესახებ ამბობდა:

„განსაკუთრებით მკვეთრად ჩამრჩა მეხსიერებაში სახე გამხდარი და ფიზიკურად სუსტი, მაგრამ შემოქმედებითი ენერგიით მძლავრი მწერლის ნინოშვილისა.“<sup>6)</sup>

ამავე ხანებში ფსიქიურად დაავადდა ცნობილი რევოლუციონერი გოლა ჩიტაძე, რომელსაც მკურნალობდა ზემოთნახსენები ხალხოსანი ექიმი ნიკოლოზ ხუდადოვი და ექიმი გ. ვარტანიანცი.

ნ. ხუდადოვის წინადადებით „წრის“ სხვა წევრებთან ერთად პეშკოვიც მორიგეობით უვლიდა და მეთვალყურეობდა ავადმყოფს.

ალექსი მაქსიმეს-ძე განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდა ავადმყოფს და სასთუმალიდან არ შორდებოდა მას.

„ავადმყოფი, — სწერს თავის მოგონებაში ექიმი ვარტანიანცი, — მეტად აინტერესებდა პეშკოვს, იგი განსაკუთრებული ხალისით აკვირდებოდა ავადმყოფის ყოველ სულიერ მოქმედებას და თავისი დაკვირვებანი შეჰქონდა რვეულში.“<sup>7)</sup>

1920 წელს სახელგანთქმული მაქსიმ გორკი ასე იგონებდა ამ შემთხვევას:.

„გოლა ჩიტაძე — ქართველი, გლეხის შვილი, ერთი პირველი პროპაგანდისტთაგანი მარქსიზმის თბილისის ახალგაზრდობაში და მუშებში, იყო მეტად პოპულარული განსაკუთრებით მუშებს შო-

<sup>5)</sup> ურ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ. № 5, გვ. 17, 18.

<sup>6)</sup> გაზ. „Заря Востока“, 1936 წ. № 209.

<sup>7)</sup> ურ. „Мир Божий“, 1903 წ. № 3, გვ. 18.

რის. ნაცნობობა ჰქონდა ხალხოსან რევოლუციონერებთან: გამყრელიძესთან, ჯაბადართან, ლუბატოვიჩთან, ზდანიოვიჩთან და სხვებთან.

დაძაბული მუშაობის, მეცადინეობისა და შიმშილისაგან ჭკუიდან შესცდა (*Mania grandiosa*) სამი კვირის განმავლობაში მას საავადმყოფოში არ ლებულობდნენ, თავდაპირველად მორიგეობით სდარაჯობდნენ სამხანაგები, მაგრამ მალე ისინი შემოიფანტნენ, დაქანცულნი, დაშინებულნი მისი ქცევით და მის მიერ ნაცემნი.

მე მომიხდა ზედიზედ ცხრა დღე გამეტარებია მასთან — ეს იყო მეტად ძნელი. რამდენჯერმე მან სცადა ჩემი მოკვლა. იგი ვაქსს წავისვამდა ხოლმე გულზე და მერე ფუნჯით სწმენდდა. ამბობდა, გული მეწვისო და ვითომ აქრობდა მას ნარეცხის ვედროში დასველებული ჩვრის მიდებით მკერდზე. ერთხელ კინალამ მოჰკლა ოთახის პატრონი ქალი, მეორედ კიბეებიდან გადმოაგდო პოლიციელი.

ერთხელ, როდესაც ავადმყოფობამ წამოუარა, ერთ მოხუც მუშას ლოყაში ჩააფრინდა და კანი გადააძრო. მოხუცს წარბიც კი არ შეუხრია, ჩიტაძე კი მიყვიროდა მე: „ხედავ, როგორ ვუყვარვარ მე ჩემს ხალხსო.“

მე რამდენჯერმე იძულებული გავეხდი გამებაწრა იგი, მაშინ იგი შეშლილის მოხერხებით იწყებდა ტირილს, ჩიოდა, რომ ტკივილს განვიციდიო. მე მივიდოდი გასახსნელად ის კი მაფურთხებდა პირისახეში და ხარხარებდა, თუ ფურთხი მომხვედბოდა.

ის იყო მეტად ღონიერი, რომ დამესუსტებია იგი, მივეცი მას ცხენის მისაღები დოზა გლაუბერის მარილისა, რამაც შეამსუბუქა ჩემი მდგომარეობა.

დაბოლოს, ის მაინც მიიღეს საავადმყოფოში. როცა ის შევიდა საერთო დარბაზში და დაინახა აგრეთვე სულიერად დაავადებული თავადი აბაშიძე, გააწნა სილა და შესძახა — „ეს ჩემი მამის მაგიერ“-ო. აბაშიძეს თურმე მოუკლავს ჩიტაძის მამა, რომელიც მისი ყმა ყოფილა, როცა გოლა ხუთი წლის იყო.

ხუთი დღის შემდეგ საავადმყოფოს მოსამსახურეებმა კიბიდან გადმოაგდეს გოლა ჩიტაძე. ნეკნის ძვლის ნამტვრევმა გაუჭრა მას გული და იგი მოკვდა. ის ზეიმით დაასაფლავეს, დაესწრო ახალგაზრდა მუშები.“<sup>8)</sup>

გოლა ჩიტაძესთან შეხვედრამ მაქსიმ გორკის მისცა თემა მოთხრობისათვის „ოშიბკა“ (1894 წ.)

<sup>8)</sup> ჟურ. „Молодая Гвардия“, 1927 წ. № 4, გვ. 187, 188.

მიხეილ ნაჩალოვისაგან 1892 წლის ივნისის დასაწყისიდან მაქსიმიზმი გადავიდა ალექსანდრე კალუჟნის ბინაზე.

ამბის გადმოცემის მეტად დიდი უნარის მქონე პეშკოვი ხშირად უყვებოდა კალუჟნის ეპიზოდებს თავის თავგადასავალიდან.

„ის იყო, — სწერს თავის მოგონებაში ალექსანდრე კალუჟნი, — შესანიშნავი მოთხრობელი. „მაკარ ჩუდრა“ თემას დიდი ხნის განმავლობაში ატარებდა გონებაში. ერთხელ მიაშობო კიდეც, მაგრამ ნაწარმოები უფრო ღრმა და მხატვრულად მდიდარი გამოვიდა. ჩვენი საუბრებში ჩვეულებრივ ცოცხლობდნენ ხოლმე მოგონებით და მე ხშირად მივმართავდი მას: „დასწერეთ, დასწერეთ, ყველაფერი ეს, ისე, როგორც ყველა, თქვენ გეყოლებათ ათასობით მკითხველი“. <sup>9)</sup>

ალექსი მაქსიმესძე ერთ დღეს „ჩაჯდა“. გაიხსენა ბოშასთან შეხვედრის ამბავი და „ჩაიწერა“ იგი. ასე დაიბადა მისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“.

ალექსანდრე კალუჟნის რეკომენდაციით პეშკოვმა მოთხრობა მიიტანა გაზეთ „კავკაზში“.

დებუტანტის სინარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხელნაწერის მიტანის სამი დღის შემდეგ გაზეთ „კავკაზის“ 1892 წ. 18 ნექტემბრის ნომერის გახსნისას დაბეჭდილი იყო „მაკარ ჩუდრა“ ხელმოწერით „მაქსიმ გორკი“.

მაქსიმისმა მალე ისევ ჩაიკეტა კარები, დასწერა მეორე თავისი მოთხრობა, რედაქციაში თვითონ წაიღო, მაგრამ ეს თხზულება რედაქციამ დაუწუნა. საროსკიპოს ცხოვრებიდან აღებული სუჟეტი ოფიციალური სათვლის შეუფერებელი გამოდგა. სახლში მოსვლისთანავე მან იგი მოსპო.

პეშკოვი იმ ხანად სწერდა ლექსებსაც.

გორკის „თბილისელი მასწავლებელი“ იგონებს:

„ალექსი მაქსიმესძე მაშინ ლექსებსაც სწერდა, ისინი ედვოლებოდნენ მას და გამოირჩეოდნენ მუსიკალობით. ერთი მათგანი მან უძღვნა ტრენუხინოვის ქალს კაიდანოვის ბიბლიოთეკაში მომუშავეს და წაიღო ისე, რომ ჩემთვის არ უჩვენებია. მახსოვს კიდეც მისი მეორე ლექსი, დაწერილი ჩემს ბინაზე, იგი იყო რევოლუციური თემაზე დაწერილი და ეხებოდა რუსეთის ახალგაზრდო-

<sup>9)</sup> გაზ. „Заря Востока“, 1936 წ. № 162.

ბას. პეშკოვს ამას გარდა ჰქონდა ერთი რვეული ლექსებით შევსებული, მაგრამ მას იგი არავის არ უჩვენებდა<sup>10)</sup>

1892 წელს კალუჟთან ცხოვრებისას ალექსი მაქსიმესძემ დასწერა ზღაპარი „ქალიშვილი და სიკვდილი“, რომელიც მხოლოდ 1917 წელს დაიბეჭდა.

ზღაპარი „ქალიშვილი და სიკვდილი“ რომ წაიკითხა ამხანაგმა სტალინმა, წააწერა წიგნის გვერდზე:

„ეს ნაწარმოები უფრო ძლიერია, ვიდრე გოეთეს „ფაუსტი“ (სიყვარული სძლევეს სიკვდილს“). III/X — 31 წ. ი. სტალინი

1892 წელს სექტემბრის ბოლო რიცხვებში ალექსი მაქსიმესძე, საქართველოში პეშკოვის გვართ ჩამოსული, ნიჟნი-ნოვგოროდში წავიდა მწერალ მაქსიმ გორკის სახელით.

## 2.

1898 წელს თბილისის რევოლუციონერთა საქმესთან დაკავშირებით ნიჟნი-ნოვგოროდში დააპატიმრეს მაქსიმ გორკი, 11 მაისს ეტაპით ჩამოიყვანეს თბილისში და ჩასვეს მეტეხის ციხეში.

თბილისის მაზრის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ წარმოებული „კვლევა-ძიების“ დასრულებისთანავე, თვრამეტი დღის პატიმრობის შემდეგ, მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი 29 მაისს გაანთავისუფლეს. გორკი მაშინვე გაემგზავრა უკან, ნიჟნი-ნოვგოროდში.

## 3.

საქართველოში პირველი ჩამოსვლიდან ათი წლისთავზე, 1901 წლის ზაფხულში, მწერალ ანტონ ჩეხოვთან, მხატვარ ვასნეცოვთან, ექიმ სრუდიანთან და ექიმ ალექსინსკისთან ერთად, კვლავ ჩამოვიდა გორკი „მზიურ ქვეყანაში“.

ჩამოსვლისთანავე მაქსიმ გორკიმ ინახულა თავისი მასწავლებელი, ა. მ. კალუჟნი, რომელთან ერთად დადიოდა თბილისის გარეუბნების დასათვალიერებლად. „ჩვენ მაშინ,—მოგვითხრობს კალუჟნი,—მცხეთაში ვიყავით, ჯვარის მონასტრის მთაზე ავედით. ბანეცოვი განცვიფრებული იყო მცხეთის ტაძრის სიმაღლივით. მას ის მწირის ნანგრევებზე უფრო მოეწონა“<sup>11)</sup>

10) იგივე წყარო.

11) ურ. „მნათობი“, 1927 წ. № 8 — 7, გვ. 192.

მაქსიმ გორკის თბილისში ჩამოსვლით მსარგებლეს რკინიგზის ძველმა თანამოსამსახურეებმა და უსაყვარელეს ამხანაჯსა და მწერალს ბაღში სადილი გაუმართეს. „ინტელიგენტ ქართველებს, — სწერს თავის მოგონებაში გიორგი თუმანიშვილი, — რომელნიც ამ სადილს დაესწრნენ, შემთხვევა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ ა. პეშკოვი არა თუ ანტიპატიით, არამედ უდიდესი სიმპატიით ეპყრობა არა რუსს ხალხებს“. <sup>12)</sup>

ორი კვირის შემდეგ სტუმრებმა თბილისი დასტოვეს.

#### 4.

1903 წელს იენისის შუა რიცხვებში მაქსიმ გორკიმ კვლავ ინახულა თბილისი და თავისი ნაცნობ-მეგობრები. მასთან ახლდნენ მეუღლე, მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორი ტიხომიროვი და პეტერბურგის რომელიღაც გიმნაზიის ინსპექტორი პიატნიცკი.

საცხოვრებელ ადგილად გორკიმ აირჩია სასტუმრო „ლონდონი“ (ახლანდელი გლეხის სახლი).

მაშინ ალექსი მაქსიმესძეს ნაწერთა უმრავლესობა იყო ქართულად თარგმნილი და მაქსიმშიჩმა მოიწადინა პირდაპირ შეხვედროდა მისი რომანის „სამნის“ მთარგმნელს.

მწერალი და მთარგმნელი ივანე პოლუმორდვინოვი იგონებს:

„საღამოს შვიდი თუ რვა საათი იქნებოდა, სასტუმრო „ლონდონში“ რომ მივედი. გულის ფანცქალით შევედი მ. გორკის ოთახში. გორკის შავი ზოლებიანი შალვარი და პარუსინის გრძელი ხალათი ეცვა, წელზე ჭამარი არ ერტყა, თმა მოშვებული ჰქონდა, წელში ცოტათი მოხრილი იყო.

გორკიმ და მისმა მეუღლემ მეტისმეტად კარგად მიმიღეს. პირველი წუთიდანვე ჩემს ვინაობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

შემდეგ ლაპარაკი ან. ჩეხოვზე, ვლ. კოროლენკოზე და რუსეთის სხვა მწერლებზე გადავიტანეთ. გორკიმ მკითხა, — თარგმნილია თუ არა მათი ნაწერები ქართულ ენაზე. მე ვუპასუხე, ჩეხოვს ვთარგმნი - მეთქი.

— თქვენ, რასაკვირველია, ქართული ბელეტრისტიკა ზედმიწევნით გექნებათ შესწავლილი. გამაცანით დღევანდელი ვითარება ამ დარგში, — მთხოვა მაქსიმშიჩმა.

მე დავასახელე რამდენიმე მოწინავე ქართველი მწერალი: ილია, აკაკი, ალ. ყაზბეგი და ნინოშვილი. გორკიმ თითქმის ყოველ მათ-

<sup>12)</sup> „Характеристики и воспоминания“, 1905 წ. წიგნი II, გვ. 53.

განზე შემაჩერა და მოისურვა მოკლედ გასცნობოდა მათ შემოქმედებას. მე შევეცადე შოთა რუსთაველზე ჩამომეგდო ლაპარაკი. რამდენიმე ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“ ზეპირად ვიცოდი და იქვე ჩემი სიტყვით გადავთარგმნე რუსულად. გორკი მეტად ნასიამოვნები დარჩა ჩვენი საუბარით.

მეორე დღეს მ. გორკი და მისი მეუღლე უფლისციხის სანახავად მიემგზავრებოდნენ გორისაკენ. მე მათ სადგურზე შევეგებე და გავაცილე.“<sup>13)</sup>

1903 წლის გაზ. „კავკაზის“ 24 ივლისის ნომერში პირველ გვერდზე ყველასათვის სრულიად მოულოდნელად გაჩნდა ასეთი ხასიათის განცხადება:

ქართველ თავად აზნაურთა თეატრი.  
ვ. ფ. ვალენტინოვის დასი გამართავს  
მხოლოდ ორ წარმოდგენას  
სამშაბათს, 24-ს და ხუთშაბათს 25-ს  
წარმოდგენილი იქნება

ნ ა ძ ი რ ა ლ ნ ი

სურათები 4 მოქმედებათ, თხზ. მ. გორკისა  
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

ბილეთები ორივე დადგმაზე იყიდება სალაროში  
ვ. ფ. ვალენტინოვი.

წარმოდგენის „ღირსეულად შესახვედრად“ მომზადებული მეფის ოხრანკა როტმისტრ ხუციევის სახით პოლიციის დეპარტამენტს 1903 წლის ივნისის 25-ს დეპეშით ატყობინებდა.

„ამ დღეებში თბილისში ჩამოსული მაქსიმ გორკი 27-ს ბათუმში წავიდა, საიდანაც უკანვე დაბრუნდება დღეს ან ხვალ. მის პატივსაცემათ ადგილობრივი თეატრის მიერ სწორედ დღეს და ხვალ, ალბათ მისივე თანდასწრებით წარმოდგენილი იქნება „ნაძირალნი“, გუბერნატორი გაფრთხილებულია“.<sup>14)</sup>

25 ივნისს იმავე თეატრში მეორედ წარმოდგინეს პიესა „ნაძირალნი“.

რამდენიმე დღის შემდეგ 1903 წლის ივლისის 3 როტმისტრმა ხუციევა პოლიციის დეპარტამენტს აუწყა:

13) გაზ. „კომუნისტის“, 1936 წ. № 287.

14) „Революционный путь Горького“, 1933 წ. გვ. 80.

„გასული ივლისის 24-ს ჩემი დეპეშის დამატებად, მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ მაქსიმ გორკის პიესა „ნაძირალნი“-ს ორივე წარმოდგენა (24 და 25 ივნისისა) აქაურ სამაზრო თეატრში ჩატარდა დამსწრეთა მხრივ ყოველგვარი სადემონსტრაციო გამოვლინებათა გარეშე. სააგენტო ცნობის მიხედვით პიესის ავტორმა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავშირის“ ადგილობრივ კომიტეტს შესწირა 300 მანეთი“. <sup>15)</sup>

თბილისიდან გამგზავრებული მაქსიმ გორკი ბორჯომს ესტუმრა, ბორჯომიდან საქართველოს სამხედრო გზით დაბრუნდა უკან რუსეთში.

## 5.

გაიარა 25 წელმა.

1928 წლის ივნისის 23-ს თბილისში ჩამოვიდა მსოფლიო პროლეტარიატის უსაყვარლესი მწერალი.

იმავე საღამოს მწერალთა სასახლეში გაიმართა მაქსიმ გორკის პატივსაცემად ბანკეტი.

თავის საპასუხო სიტყვაში გორკიმ მადლობა უძღვნა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს და ქართველ მწერლებს გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ის თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში ყოველთვის ეძებდა ადამიანს და რომ მისი მასწავლებელი იყო მხოლოდ ცხოვრება.

„ეს ცხოვრება, — სთქვა მან, — ეხლა სულ სხვაგვარაა, ვიდრე წინათ იყო. ამ ახალ ცხოვრებას ჰქმნის საბჭოთა კავშირი და ზრდის საბჭოთა ადამიანებს. როგორც მე, ისე თქვენ, ქართველ მწერლებს, ვალად გვაწევს ხელი შევუწყოთ ახალ ცხოვრების გამტკიცებას და ახალი ადამიანის სავსებით ჩამოყალიბებას“. <sup>16)</sup>

24 ივლისს მაქსიმ გორკი გაემგზავრა ზაჰესის დასათვალისწინებლად. დაათვალისწინა სადგურის ყველა ნაგებობა და საუბარი გახართა მუშებთან. მწერალს აინტერესებდა, როდის დაიწყო ზაჰესის აგება, რამდენი დაჯდა მისი მოწყობა. შემდეგ იგი ეწვია მცხეთის მონასტერს.

დაბრუნდა თუ არა ზაჰესიდან, იგი მაშინვე გაემართა საქართველოს მუზეუმში, სადაც დაათვალისწინა მხარეთმცოდნეობის განყოფილება.

<sup>15)</sup> იგივე წყარო.

<sup>16)</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1928 წ. № 170.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ალექსი მაქსიმესძემ გაისეირ-  
ნა კოჯრისაკენ. მას თან ახლდნენ: მისი შვილი — ინჟინერი მაქ-  
სიმე ალექსის-ძე პეშკოვი და შვილობილი სტუდენტი.

კოჯორში მაქსიმ გორკიმ დაათვალიერა ბავშვთა ახალშენები  
და გაიკნო პიონერთა ორგანიზაციის ცხოვრება.

„კოჯრის პიონერთა ორგანიზაციამ, — სწერს გაზეთ „კომუნის-  
ტის“ რეპორტიორი, — ახალშენის ყველა ბავშვებთან ერთად გორ-  
კის გაუმართა საზეიმო შეხვედრა: ბავშვებმა გორკის წაუკითხეს  
ლექსები და აჩუქეს პიონერთა ხელნაწერი ჟურნალის უკანასკნელი  
ნომერი შემდეგი სიტყვებით: „ლ ე ნ ი ნ ო ჩვენ გვიყვარს, ლ ე ნ ი ნ ი  
შენც გვიყვარს“.

შემდეგ ბავშვებმა გამართეს ცეკვა-თამაში და სიმღერა. როცა  
ბავშვთა გუნდმა დაიწყო „მრავალჟამიერ“, გორკის ცრემლები მო-  
ერია და წამოიძახა: „ახ, როგორ ჰგავს ეს სიმღერა ოცდაჩვიდმეტი  
წლის წინად თბილისში მოსმენილ სიმღერას“.

სალამოს ბავშვებმა გორკი ავტომობილამდე მიაცილეს „ვაშას“  
და „გაუმარჯოს ძია გორკის ძახილით“. 17)

24 ივლისს, სალამოს რვა საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგა  
საბჭოთა მწერლების ფერედაციის სხდომა გორკის პატივსაცემად.  
ხალხით გაჭედილი დარბაზი მაქსიმ გორკის გაქოჩინას მქუხარე ტა-  
შით შეხვდა.

საპასუხო სიტყვაში მაქსიმ გორკიმ განაცხადა:

„ ოქტომბრის რევოლუციამ დიდი გარდატეხა მოახდინა ყოფილ  
რუსეთის იმპერიის ხალხებში, მათ ყოფაში ნიადაგი გამოეცალა-  
ძველს ტრადიციებს და ქვეყანა დააყენა ახალ ცხოვრების გზაზე-  
საჭიროა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის კულტურული კავშირის  
გაძლიერება. ამ მიზნის მისაღწევად უწინარეს ყოვლისა საჭიროა  
ერთი მეორის შემოქმედების გაცნობა“. 18)

24 ივლისს, სალამოს თერთმეტ საათზე მაქსიმ გორკი გაემგზავ-  
რა ერევანს, საიდანაც თბილისში სამი დღის შემდეგ დაბრუნდა.

ოცდა შვიდ ივნისს მშენებელთა კლუბში შესდგა მუშკორთა,  
სამხკორთა და ახკორთა შეხვედრა — საუბარი მაქსიმ გორკისთან.

იმავლე დღეს, სალამოთი, ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ბალ-  
ში მაქსიმ გორკის პატივსაცემად მოწყობილი იქნა თბილისის საბჭოს  
საზეიმო სხდომა.

17) გაზ. „კომუნისტის“, 1928 წ. № 170.

18) გაზ. „კომუნისტი“, 1928 წ. № 170.

„საბჭო, — ვკითხულობთ გაზეთში, — მქუხარე ტაშისცემით ამტკიცებს პრეზიდენტის დადგენილებას მაქსიმ გორკის საპატიო წევრად არჩევის შესახებ. საბჭოს დადგენილებით მთორე შრომის სკოლას ამიერიდან ერქმევა მაქსიმ გორკის სახელი და კრასნოგორსკის ქუჩას, სადაც პირველად თბილისში ყოფნის დროს ცხოვრობდა ანაღვაზრდა პეშკოვი — მაქსიმ გორკის ქუჩა“.<sup>19)</sup>

მესამე დღეს დილით საქართველოს სამხედრო გზით მაქსიმ გორკი რუსეთში დაბრუნდა.

6.

1929 წლის ზაფხულში ალექსი მაქსიმესძემ კვლავ ინახულა „თავისი მეორე სამშობლო“.

მსოფლიო პროლეტარიატისა და მოწინავე კაცობრიობის უსაყვარლესი მწერლის ბიოგრაფიაში ეს, რიცხვით მეექვსე, ჩამოსვლა საქართველოში უკანასკნელი იყო.

<sup>19)</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1928 წ. № 170.

ლევან ასათიანი

## ალექსანდრე აბაშელი

ალ. აბაშელი ეკუთვნის თანამედროვე ქართველ საბჭოთა მწერლების იმ თაობას, რომელიც ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. მან, როგორც პოეტმა, განვლო შემოქმედებითი განვითარების საკმაოდ გრძელი გზა. თუ თავისი პოეტური მუშაობის პირველ პერიოდში, — ეს იყო იმპერიალისტური ომის წლები, — იგი განიცდიდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენას და თავის ლექსებში გამოხატავდა სიმბოლისტურ და მისტიურ განწყობილებებს, თუ შემდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების პირველ წლებში, იგი აშკარა უნდობლობით და ეჭვის თვალით შეჰყურებდა მუშათა კლასის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებულ დიად სოციალისტურ მშენებლობას, რასაც გამოხატავდა კიდევ თავის იმდროინდელ ლექსებში, — დღეს, იგი სოციალიზმის გამარჯვებით აღფრთოვანებული სტრიქონებით უმღერის თავის განახლებულ ქვეყანას და სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ მშრომელ ხალხს.

ალ. აბაშელის შემოქმედების გასაგებად და შესაფასებლად საჭიროა ვიცოდეთ მისი ცხოვრებისა და განვლილი შემოქმედებითი გზის მთავარი ეტაპები.

ალ. აბაშელი დაიბადა 1884 წელს, სენაკის მაზრის სოფელ საჩოჩიოში, უღარიბესი გლეხის ოჯახში. ჯერ კიდევ ხუთი წლისამ დედისაგან ისწავლა ქართული წერა-კითხვა. ექვსი წლისამ დაკარგა მამა. მისი ოჯახი, ისედაც ღარიბი, სრულიად უმწეოდ დარჩა ავადმყოფ დედას სარჩენად დააწვა ორი პატარა ბავშვი. ასეთ სოღარიბეში, ცხადია, მას არ შეეძლო ეზრუნა ბავშვების განათლე-

ბაზე. მომავალი პოეტი მიბარებული იქნა სოფლის ორკლასიან სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ 12 წლის ბავშვი დაუბრუნდა ისევ თავის ძველ ქოხს და ერთ მტკაველ მიწას, რომელიც მისი ოჯახის მთელ ავლა-დიდებას შეადგენდა. დედის სიკვდილის შემდეგ 17 წლის ყმაწვილი ალ. აბაშელი მიდის ფოთს, ბედის საძებნელად.

ზღვის პირველმა ნახვამ განუსაზღვრელი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ პოეტზე. ბუნების სტიქიონის ამ დიდმა განცდამ შემდეგში საკმაოდ იჩინა თავი მის შემოქმედებაში. ფოთში მას ერთი ამბავი შეემთხვა, მეტად დამახასიათებელი მისი ახალგაზრდული გატაცებისათვის. ზღვის უსაზღვროებით მოხიბლულმა მეოცნებე ჭაბუკმა გადასწყვიტა შორი ქვეყნების, უცნობ მხარეების სტუმარი გამხდარიყო. ამისათვის მან მოისურვა გემის კაპიტნობის „სწავლა.“ პოეტის ბიოგრაფი მოგვითხრობს, თუ როგორ იდგა ყმაწვილი „ნავთსადგურზე და ყოველ გემის უფროსს ემუდარებოდა წაეყვანა თან და „კაპიტნად“ მოემზადებინა, ბოლოს აღმოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი, გვარად პლეშჩენკო, რომელმაც იკისრა მისი წაყვანა ქ. ხერსონში საზღვაო სკოლაში შესაყვანად. ყმაწვილმა მოაგროვა ათი მანეთი და გაჰყვა იმ კაცს. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ის კაცი გზაში, ნოვოროსისკის ნავთსადგურს რომ გასცდნენ, უეცრად გარდაიცვალა. ათი მანეთიც მას ჰქონდა მიბარებული. დარჩა ახალგაზრდა ყმაწვილი გემში უფულოდ და უპატრონოდ. გემის უფროსის თანაშემწეებმა რომ გაიგეს მისი მდგომარეობა, მისცეს ათი მანეთი, მიიყვანეს ოდესაში და ხუთი დღის შემდეგ უკან დააბრუნეს ბათომში. ამნაირად აბაშელს გაუცრუვდა იმედი. დასახლდა სოფელში. კითხულობდა ქართულ წიგნებს რაც შეხვდებოდა.“

მაგრამ სოფელში დიდხანს აღარ დარჩენილა ახალგაზრდა აბაშელი. იგი წამოვიდა იქიდან სამუშაოს საძებნელად, ცხოვრების სანახავად. აქედან იწყება აბაშელის მძიმე და ხშირად მწარე ცხოვრების გრძელი გზა. მან რამდენიმე ხელობა და საქმე გამოიცვალა: მას უმუშავნია აბაშაში, ბორჯომში, ბათომში, თბილისში ხან ფოსტის მოსამსახურედ, ხან გაზეთების დამტარებლად, სტამბაში კორექტორად და სხვა.

1905 წლის რევოლუციას ახალგაზრდა აბაშელი გულგრილად არ შეხვედრია. მისი გული და არსება ბარიკადებზე მებრძოლ მუშათა კლასის მხარეზე იყო. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, 1906 წელს მას აპატიმრებენ და ასახლებენ ჯერ ოლონეცის, ხოლო

შემდეგ ვოლოგდის გუბერნიაში, 1908 წელს კი გადაჰყავთ ასტ-რახანის გუბერნიაში. ამ წელსვე იგი ბრუნდება სამშობლოში.

აღ. აბაშელის პოეტური შემოქმედება იწყება 1910 წლიდან.

ამ წელს იგი ბექდავს თავის პირველ ლექსს სათაურით „შავი აჩრ-დილი“ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებზე. თავისი ლექ-სებით მან ჩქარა მოიპოვა ფართო მკითხველი საზოგადოების და კრიტიკის ყურადღება. უკვე სამი წლის შემდეგ, 1913 წ. იგი სცემს ლექსების პირველ კრებულს „მზის სიცილის“ სახელწოდებით.

აღ. აბაშელმა თავისი შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის პროდუქცია გამოაქვეყნა კრებულებში: „ანთებული ხეივანი“, სადაც მოთავსებულია 1913—1920 წ. წ. დაწერილი ლექსები და „გაბ-ზარული სარკე“, სადაც შედის ლირიკული ნაწარმოებნი, დათარი-ღებულნი უმთავრესად 1920—1929 წლებით. ამის შემდეგ დაწერილი ლექსები აბაშელს დაბეჭდილი აქვს სხვადასხვა საბჭოთა ჟურნალ-გაზეთში.

— : — : —

აღ. აბაშელის შემოქმედება, მისი იდეური და მხატვრუ-ლი შინაარსის მიხედვით, შეიძლება სამ მთავარ პერიოდად დავეყოთ. პირველი პერიოდი, — საქართველოში საბჭოთა ხე-ლისუფლების დამყარებამდე, — შეიცავს აღ. აბაშელის წი-ნარეგოლუციური ეპოქის შემოქმედებითს მუშაობას (წიგნები: „მზის სიცილი“, „ანთებული ხეივანი“). მეორე პერიოდი მოდის 1921 წლიდან 1929 წლამდე (ლექსების კრებული „გაბზარული სარკე“), ხოლო მესამე პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს დრო 1932 წლიდან უკანასკნელ ხანებამდე, როდესაც პოეტი კვლავ გა-ნაგრძობს აქტიურ შემოქმედებითს მუშაობას.

აღ. აბაშელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც აღვ-ნიშნეთ, 1910 წელს. ეს იყო მეფის რეაქციის შავ-ბნელი ხანა, რო-მელსაც განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი ჰქონდა რუსეთის იმპე-რიის განაპირა ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში; მეფის სატრა-პებმა ხალხს ამ დროს უფრო მძიმედ დაადგეს სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის ორმაგი უღელი. მუშათა კლასის და მშრო-მელი გლეხობის საუკეთესო შვილები, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი რევოლუციონერები, ვინც კი გადაურჩა ჩამოღრჩობას და დახვრეტას, გაგზავნილ იქნენ კატორღასა და შო-რელ ციმბირის გადასახლებაში. გაშეფდა უსაშინელესი ტერორი. მეფის სისხლიანმა ჯალათმა მინისტრმა სტოლიპინმა სახრჩობე-ლებით აავსო ქვეყანა.

ამ საშინელ „რეაქციის წლებში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, ანხ. სტალინის ხელმძღვანელობით, როგორც ყოველთვის, განუხრელად იბრძოდნენ რევოლუციის ლენინურ სტრატეგიისათვის, ცარიზმის დამხობისათვის, ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და მისი სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდისათვის“. (ლ. პ. ბერია — „ამირკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“ 1935 წ. გვ. 105). მაგრამ ამავე დროს, მეფის რეაქციის პირობებში განსაკუთრებით გაძლიერდა ლიკვიდატორული განწყობილებები წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებში. „რეაქციის წლებში ამიერ-კავკასიის მენშევიზმა აშკარად და საბოლოოდ გადაიზარდა ლიკვიდატორობაში, ხელი აიღო რევოლუციაზე, მარქსიზმზე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრინციპებზე“. (ლ. პ. ბერია — იქვე, გვ. 104).

განსაკუთრებით გამხრწნელი გავლენა მოახდინა რეაქციის შიშინვარებამ წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე, რომელიც რევოლუციის აღმავლობის წლებში თითქო თანაუგრძნობდა მუშათა კლასის ბრძოლას თვითმპყრობელობასთან, მაგრამ რევოლუციის დამარცხების შემდეგ იგი ჩამოსცილდა მუშათა კლასის რიგებს და ზურგი შეაქცია მის დიად ამოცანებს. ინტელიგენციის ამ ფენების სულიერი განწყობილებები განსაკუთრებით რელიეფურად გამომჟღავნდა იმ დროის ლიტერატურაში. ამ ხანებს ეკუთვნის რუსეთში სიმბოლისტური პოეზიის გაფურჩქვნა, მისტიციზმის, რელიგიურ სულისკვეთების, სქესობრივი და პორნოგრაფიული თავაშვებულობის განმტკიცება ბურჟუაზიულ-დეკადენტურ მწერლობაში: დაცემულობის გრძნობა, პესიმიზმი, უკიდურესი ინდივიდუალიზმი, ანტისაზოგადოებრივი ტენდენციები, სრული გაქცევა „ამ ქვეყნიურ“ ინტერესებიდან — აი ის უმთავრესი ტენდენციებო, რომელიც ახასიათებდა რეაქციის ხანებში გაბატონებულ სიმბოლისტურ მწერლობას და საერთოდ ბურჟუაზიულ ხელოვნების ყველა სფეროს რუსეთის სინამდვილეში.

ანალოგიურ განწყობილებებთან გვაქვს საქმე ქართულ ბურჟუაზიულ-ლიტერატურულ ინტელიგენციის წრეებშიც. რუსული სიმბოლიზმის დეკადენტურ გავლენის სფეროში მოექცა იმ დროის ჰევრი ქართველი ახალგაზრდა მწერალი, რომელიც ახლად გამოდიოდა სალიტერატურო მოღვაწეობის ასპარეზზე.

ამ ახალგაზრდობას ეკუთვნოდა ალ. აბაშელიც. თავისი შემოქმედების ამ პირველ ეტაპზე მან განიცადა უდიდესი გავლენა

რუსული დეკადენტური მწერლობისა, განსაკუთრებით ბალმონ-ტისა და ბრიუსოვისა. მის შემოქმედებაში ამ დროს ვხვდებით იმავე დაცემულობის განწყობილებებს, რეალურ სინამდვილისაგან გაქცევას, ლტოლვას ცის უსაზღვროებისაკენ. საინტერესოა, რომ იმდროინდელი ბურჟუაზიული კრიტიკოსები ყოველნაირად ცდილობდნენ გაეღვივებინათ ახალგაზრდა პოეტში ეს დაცემულობის განწყობილებანი, ეს ანტისაზოგადოებრივი ხასიათის ტენდენციები მის პოეზიაში. ერთი მათგანი ალ. აბაშელის ლექსების პირველი კრებულის, „მზის სიცილის“ წინასიტყვაობაში სწერდა კიდევ: „ჩვენს ცხოვრებას ძლიერმა ქარიშხალმა გადაუარა თავს; მიუხედავად ამისა, ჩვენი დღევანდელი პოეზია შაბლონს ვერ გასცილდა: ზამთარი დაგვიდგა, ირვვლივ ტანჯულთა კვნესა ისმის, გამხნევდით, გულს ნუ გაიტეხთ, ზამთარს ისევ გაზაფხული მოჰყვებაო, აი რა გაისმის სხვადასხვა კილოზე. აბაშელის პოეზია სასიამოვნო და საიმედო გამონაკლისს შეადგენს“.

ბურჟუაზიული კრიტიკოსი შაბლონს უწოდებდა ქართველი ხალხის საუკეთესო პოეტების შემოქმედებას, რომლითაც ისინი მოუწოდებდნენ შეფის რეაქციის ჩექმის ქვეშ გათელილ ქართველ მშრომელ ხალხს მხნეობისა და მომავლისათვის ბრძოლისაკენ, ხოლო ახალგაზრდა პოეტ აბაშელის ზოგიერთ ლექსებში გამოხატულ დეკადენტურ, მისტიურ და ანტისოციალურ განწყობილებებს „სასიამოვნო და საიმედო გამონაკლისად“ სთვლიდა. უნდა ითქვას, რომ, მისდა სასახელოდ, ალ. აბაშელმა ამ თავის შემოქმედებითი მუშაობის პირველ ეტაპზე სავსებით არ დაუჯერა ისეთი ტიპის არამკითხვე „კრიტიკოსებს“. მას სიმბოლისტურ გავლენით დაწერილ ლექსებთან ერთად მოეპოვება ისეთი ლექსებიც, სადაც იგი, როგორც პოეტი-მოქალაქე, გამოხატავდა ხალხის საუკეთესო მისწრაფებებსა და რწმენას უკეთეს მომავლისადმი. ამ პერიოდის ერთ ლექსში, — „სევდის ჰანგი“, პოეტი გვიამბობს, რომ „ნაზ ოცნებით ანაფრენი“ იგი ერთხელ დაბინავებულა „ცის ეთერში“. ამ დროს, — სწერს იგი, —

„ხან ცის მნათობთ ვუგალობდი,  
 ხან ვარსკვლავთა გვირგვინს ვწნავდი,  
 ხან უცოდველ ძილში მყოფი  
 ტკბილ სიზმრების ზღაპარს ვთხზავდი“.

მაგრამ ოცნების სფეროში მარტოდ-მარტო მყოფს, რეალურ ცხოვრების სინამდვილეს დაშორებულ პოეტს ვერ გაუძლია შო-

რეულ ცის სამყაროში და დაბუნებია მიწას, სადაც „ცრემლის გუბე“ იყო დამდგარი და მშრომელებს მონობის ხუნდები ედვათა:

„მაგრამ ბოლოს ცის სივრცეში  
ვერ გავუძელ მარტობას.  
სულს მოსწყინდა ცაში ფრენა,  
ისევ ავყევ მიწის გრძობას;  
მომავონდა ცრემლის გუბე,  
მომავონდა მონის ხუნდი,  
და ცხოვრებით გულნატკენი  
ისევ მიწას დავუბრუნდი“.

ცხოვრების სინამდვილეში დაბრუნებული პოეტი ამჩნევს სოციალურ უსამართლობას, მშრომელთა ჩაგვრას გაბატონებული კლასების მხრივ, უიმედო განწყობილებებს, რომელსაც მოუცავს ხალხი. იგი გამამხნეველი მოწოდებით, მიმართავს ჩაგრულთ და უხატავს მათ მომავალი გამარჯვების სურათებს, ასეთი შინაარსი აქვს, მაგალითად, მის საუცხოო ლექსს „აღდგომა“. აი როგორი სიტყვებით მოუწოდებს იგი მშრომელებს:

„მომავლის შვილნო, ამქუხრდეს ღღეს ჩვენი დაფი, ნაღარა,  
ვაქოთ, ვინც ჩაგრულთ სახსნელად უმანკო სისხლი დაღვარა.

— : —

დეე, ბნელოდეს გარშემო, სვავნი, ყორანნი ყიოდენ,  
სერაბიმთ ნაცვლად აღ-ქაჯნი სამოთხის ბჭეზე ჰკიოდენ!

— : —

გულში მოზღვავდეს წარსულის უმწიკვლო მსხვერპლთა გოდება, —  
ტანჯვით განვლილი ეკლის გზა სულს შხამად მოავონდება, —

— : —

ღრო მოვა: ღამეს ჩაისრავს შუქურ ვარსკვლავის ცილი,  
ცის ეთერს ააკაშკაშებს მზის ცხოველ სხივთა სრიალი.

— : —

ვიხილავთ ჩვენსა გოლგოთას, ჩვენივე სისხლით მორწყულსა,  
დიდების შუქით შემოსილს, უჭკნობ ყვავილით მორთულსა.

ასეთი ლექსები, სამწუხაროდ გამონაკლისს შეადგენდნენ ალ. აბაშელის ადრინდელ შემოქმედებაში. უმეტესი ნაწილი მისი პოეტური ნაწარმოებებისა გამოხატავდნენ ოცნების უნაყოფო სივრცეში მონავარდე, ცის რომანტიულ უსაზღვროებისაკენ შლტოლველ პოეტის გრძობებსა და განცდებს. ამგვარად იგი წარმომადგენელი იყო პოეზიაში ჩვენი ინტელიგენციის იმ ნაწილისა, რომელიც რევოლუციის დამარცხების შემდეგ შავი რეაქციის სისასტიკით დაშინებული, ცდილობდა მორიდებოდა მწვავე საზოგადოებრივ საკით-

ჩვენს, ხალხის ცხოვრების მწარე სინამდვილეს და ოცნების სფერო-  
ში ეპოვა თავისი ობივატელური სულის მყუდროება.

„მზის სიცილის“ ლექსების იდეურ-თემატიური ხაზის გაგრძე-  
ლებას ვხედავთ ა. აბაშელის მეორე წიგნშიც — „ან თე ბ უ ლ ი  
ხ ე ი ვ ა ნ ი ს“ სახელწოდებით. ეს წიგნი, თუმცა საბჭოთა ხელი-  
სუფლების პერიოდში იქნა გამოცემული 1923 წ., მაგრამ შეიცავს  
მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის წინ დაწერილ ლექსებს. აქაც  
ჩვენ ვხვდებით განყენებულ ოცნებას, ბუნების სურათებს, პოეტის  
ბუნდოვან და უსაგნო ჩვენებებს. გამოხატვის ამ წიგნში შეადგენს  
1915 — 1920 წლის მანძილზე დაწერილი ლექსები, გაერთიანებუ-  
ლი ერთ ციკლად — „ჩირაღდნები ჰაერში“. ერთ ლექსში, რომე-  
ლიც იმპერიალისტური ომის დროს, 1915 წელს არის დაწერილი,  
აღ. აბაშელი მიმართავს მუშებს შემდეგი სტრიქონებით:

„უამი გაივლის, გზა უვალი გაითელება,  
გაუჭირდება დაღლილ ღრუბელს მზის დაბნელება.  
მუდამ უკუღმა ეგ სოფელი ვერ იტრიალებს.  
და როცა ზეცა განთიადით შეიღებება,  
და თქვენი რაზმი მზის ამოსვლას მიეგებება,  
თქვენს სიმღერაში ჩემი ქნარიც დაიწკრიანება“.

უნდა ითქვას, რომ აღ. აბაშელს, როგორც პოეტს და ადამიანს  
საკმაო ხანგრძლივი დრო დასჭირდა იმისათვის, რომ მას საბოლო-  
ოდ გადაესინჯა თავისი შემოქმედებითი გზა და განთავისუფლე-  
ბულ მუშათა კლასის სიმღერებში თავისი ქნარიც „დაეწკრიანები-  
ნა“, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ შევჩერდებით. 1917 წლის თე-  
ბერვლის რევოლუციას, როდესაც თვითმპყრობელობის ტახტი და-  
ემხო, აღ. აბაშელი აღტაცებით შეხვდა. ლექსში, რომელსაც  
ეწოდება „სიხარულის ცრემლები“, იგი სწერს, რომ აღფრთოვანე-  
ბულს მუშათა კლასის გამარჯვებით, მას სურდა შესაფერი ლექ-  
სებით შეემკო რევოლუციონური დღეები, მაგრამ:

ისე გამოტაცა  
წითლად მორთულ ფიქრთ სამყარომ,  
რომ დაახრჩო ჩემი სიტყვა  
სიხარულის ცრემლის წყარომ“.

სხვა ლექსში („მებრძოლს“) იგი მოუწოდებს რევოლუციის მომ-  
ხდენ მუშათა კლასს ბოლომდე გაანადგუროს კლასობრივი მტერი,  
არ დაინდოს იგი, მხნედ და გაბედულად გასწიოს წინ საბოლოო გა-  
მარჯვებისაკენ:

„შუაგზაზე არ შეფერხდე,  
გზას შორიდან გადახედე,  
გადალაზე შავი ქედი.

არ შეუშვა უროს ხელი,  
სანამ ქვინავს ქურა ცხელი-  
და გამხნევი, და გაჰბედი!  
და ბოლომდის შენი ბედი  
სკედე!

და თუ დარჩა სადმე კიდევ,  
ძველი ქვეყნის გადამკიდე —  
და მზეს მტრულად დაეტაკა, —  
არ დაინდო ღამის შვილი,  
და მზის ორგულს მზის მახვილი  
დაჰკა!

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში ინტელი-  
გენციის ერთი ნაწილი მტრული და ეჭვის თვალით შეხვდა. ამ უნ-  
დობლობის განწყობილებამ თავი იჩინა ალ. აბაშელის ლექსებ-  
შიც. თუ წინათ ალ. აბაშელი მუშათა კლასს მოუწოდებდა „შუა-  
გზაზე არ შეფერხდე, გზას შორიდან გადახედე, გადალაზე შავი  
ქედიო“, 1921 წელს, როდესაც საქართველოს მშრომელებმა სა-  
ბოლოოდ დაამხეს ბურჟუაზიისა და მისი ერთგული ლაქების —  
მენშევიკების ბატონობა, როდესაც კომუნისტური პარტიის ხელმ-  
ძღვანელობით ქართველი მუშები და გლეხები შეუდგნენ დიად-  
სოციალისტურ აღმშენებლობას, ბედნიერი და საამური ცხოვრების  
აგებას, პოეტმა დროებით დაჰკარგა ორიენტაცია და შეშინებულმა  
უდიდესი სოციალური ძვრებით, ისევ უკან, წარსულისაკენ და-  
იწყო ყურება. ამ განწყობილებებმა თავისი გამოხატულება ჰპო-  
ვა ალ. აბაშელის იმ ზოგიერთ ლექსებში, რომელიც კრებულ  
„გ ა ბ ზ ა რ უ ლ ს ა რ კ ე შ ი ა“ მოთავსებული.

პოეტის იმ იდეურ შემოქმედებითს კრიზისს, რომელიც შემცდარ,  
ყალბ მსოფლმხედველობითს საფუძველზე იყო აშენებული, ხელი შე-  
უწყო მაშინ არსებულმა ეგრეთწოდებულმა რაპპულმა ვულგარულმა  
კრიტიკამ. ნაცვლად ამხანაგური დახმარებისა, ნაცვლად იდეურ-აღმ-  
ზრდელობითი მუშაობისა პოეტის ჯანსაღ შემოქმედებითი პოზიცი-  
ებზე გადასაყვანად — რაპპული კრიტიკის ხელმძღვანელობამ, მათი  
ოფიციალური „კრიტიკოსების“ პირით განგაშით დასცეს ყიჟინა და  
რადაც არაჩვეულებრივი ქედმაღლური კმაყოფილებით დაიწყეს მტკი-  
ცება, რომ „ახლად გამოსული ლექსების წიგნით „გაბზარული სარ-  
კით“ აბაშელმა „დაასრულა თავისი პოეტური განვითარების გრძე-  
ლი გზა“, რომ მისი „ფორმალური გამორკვევა და ზრდა დიდი

ზანია დასრულებულია... რომ მას შემდგომი განვითარება აღარ ეტყობა“ და სხვა. ალ. აბაშელი მონათლული იქნა, როგორც გაუსწორებელი რეაქციონერი, კლასობრივი მტერი, რომელსაც უფლებაც კი არა აქვს სწეროს თანამედროვე თემებზე, რადგან თითქოს ეს არ იქნებოდა გულწრფელი და დამაჯერებელი გამოხმაურება პოეტისა სოციალისტური სინამდვილის მიმართ. და ეს იწერებოდა იმ დროს, როდესაც „გაბზარულ სარკეში“ ალ. აბაშელს ჰქონდა მთელი რიგი ლექსებისა, სადაც იგი შეხაროდა დიად სოციალისტურ თანამედროვეობას, ხალხის ბედნიერ აწმყოს და მომავალს:

„მოგვცა ეპოქამ გადაწყვეტი ბრძოლის ნიშანი,  
გვაქვს გული გმირის და ხალხის თვალთა ბავშვის“,

სწერდა იგი ლექსში „დედამიწა“.

მეორე ლექსში, რომელიც მან უძღვნა პოეტებს, ალ. აბაშელი აღიარებდა:

„მოწბეა ძვრათა უდიდესთა ჩვენი თაობა  
და მონაწილე განუზომელ აღორძინების“.

ამავე ლექსში იგი მოუწოდებდა ახალგაზრდა პოეტებს:

„ნუ იხმართ სიტყვებს: სევდას, ქვითინს, ნიავს და სიოს,  
როცა გრიგალი განახლების გრგვინავს გარშემო!“

რაპპის ვულგარიზატორებმა ექვს ქვეშ დააყენეს პოეტის გულწრფელი შემობრუნების ეს ცდები და ბოლოს იძულებული გახადეს სრულიად დაეჩუმებიათ იგი.

მაგრამ რაპპის ამგვარ საქმიანობას ლიტერატურის დარგში ბოლო მოუღო პარტიის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ. პარტიის ამ ბრძნულმა გადაწყვეტილებამ ახალი შემოქმედებითი ენტუზიაზმით გამსჭვალა საბჭოთა მწერლობის ყველა საუკეთესო ძალები, პარტიის გარშემო შემოიკრიბა ყველა ის მწერალი, რომელიც გულწრფელად ემსახურებოდა მუშათა კლასის დიად საქმეს. პარტიამ მზრუნველი დახმარებით ხელი გაუწოდა ყველა იმ მწერალს ძველი, წინარეგოლუციური თაობიდან, რომელსაც სურდა თავისი შემოქმედებით აქტიური მონაწილეობა მიეღო დიადი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში. ამ ისტორიულმა დადგენილებამ აქტიურ შემოქმედებით მუშაობაში ჩააბათს მწერლებიც, რომლებიც მანამდე ასე დიდის ზეიმითა და რიხით

იყვნენ რაპის ხელმძღვანელობის მიერ აღიარებულნი „უიმედო“ და „გზა დასრულებულ“ მწერლებად. მათ რიცხვში იყო პოეტი ალ. აბაშელიც.

რამდენიმე წლის დუმილის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება შემოქმედებითს მუშაობას და აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ ზრდა-განვითარების საქმეში. ეს არის მესამე პერიოდი მისი შემოქმედებითი განვითარებისა, ყველაზე უფრო ნაყოფიერი, იდეურად და მხატვრულად მაღალხარისხოვანი, აქტუალური თავისი შინაარსით და მიზანდასახულობით.

სოციალისტური სინამდვილის მდიდარმა მრავალფეროვანებამ, საბჭოთა ხალხის გამრულმა ბრძოლამ და შემოქმედებამ ალ. აბაშელს მისცა უდიდესი სტიმული ახალი, უფრო ნათელი პოეტური საღებავების და ფერადების მომარჯვებისა ცხოვრების რეალურ სინამდვილის ასახავად. ლექსში „ჩვენ დღეები“ იგი, აღფრთოვანებული ჩვენი ქვეყნის აღმავლობით, უდიდესი გულწრფელობით უმღერის „გასაოცარ ადამიანებს“ მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილებს, რომლებიც რწმენით აღსავსენი აშენებენ ახალ ქვეყანას:

„მესმის გუგუნი დაუცხრომელი  
მზითა და ქარით სავსე დღეების,  
ამღერდა გული, წინათ მწყრომელი,  
ირგვლივ მღერიან თითქო ხეებიც.  
სად იყო დღემდე გმირი ამდენი?  
ნეტავ, სად იყვნენ ეგ სახელები?  
განსაცვიფრებელ საქმეთ ჩამდენი  
რწმენით აღსავსე მუშის ხელები?  
გული სიმღერით აახმიანებს,  
როგორც ბავშვობის ოქროს ზმანებას,  
ამ გასაოცარ ადამიანებს,  
ამ გასაკვირველ აღფრთოვანებას“.

მეორე ლექსში სათაურით „ვეფხის ნახტომი“ პოეტი იგონებს საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი ოცი წლის მანძილს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღეებს, როდესაც „ამობრწყინდა დილის მზესავით ლენინისა და სტალინის დროშა“ და ახალი ისტორიული პერსპექტივები გადაუშალა წინ მშრომელ ხალხს:

„თითქოს მილიონ წელთა წყვილიადის  
აენთო ერთად ყველა ატომი,  
მოგვესმა გრგვინვა და განთიადის

მოვარდა ელვა გასაკვირველი.  
ეს იყო ქვეყნის დილა პირველი  
და ისტორიის ვეფხეს-ნახტომი“.

ლექსში „ფოლადაური“ ალ. აბაშელი მიმართავს საქართვე-  
ლოს მთებს, იმ მხარეს, რომელიც გენიალურად ასახა თავის ნა-  
წარმოებში ვაჟა ფშაველამ, და უხარია, რომ ამ მთებმა, მისმა  
მცხოვრებლებმა, თავის კერაზე „ახალი ცხოვრების ალი“ გააჩადეს,  
და აღარ სურთ, პოეტის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „წარ-  
სულით მომავალი ცხოვრების დაძაბუნება“. აბაშელი მიმართავს  
თუშ-ფშავ-ხევსურეთს და გამოსთქვამს თავის აღტაცებას, რომ  
ისინი, გამსჭვალულნი დიდი ბელადის სტალინის საკაცობრიო  
მიზნით, იბრძვიან ახალი დროისა და წესების განსამტკიცებლად.

„იცით, დრო დადგა ახალი,  
ძველი დაეშვა კისრითა,  
წაიღო ბნელ სამარეში  
კუბო შეკრული ფიცრითა;  
ჩვენს დროს ვერ გამოადგებთ  
მამაპაპეულ ისრითა, —  
ახალს ბაქტერიონს იშენებთ,  
ახალის წესით იბრძვითა,  
იმსჭვალვით ჩვენი დროების  
მინდიას უკვდავ სიბრძნითა, —  
დიდი ბელადის — სტალინის  
საკაცობრიო მიზნითა.“

ალ. აბაშელის უკანასკნელ დროის ლექსებს ახასიათებს თემა-  
ტიკის შრავალფეროვანება. არ არის ჩვენს ცხოვრებაში არც ერთი  
ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომ იგი არ ეხმაურებოდეს თავისი  
მაღალმხატვრული სტრიქონებით. მის ნაწარმოებთა შორის აღსა-  
ნიშნავია მაგალითად, ლექსი „ბრწყინვალე თარიღი“, დაწერილი  
უმალღეს საბჭოს არჩევნების შესახებ.

„ჩვენი სამშობლოს ცაზე ახალი  
ბრწყინავს ვარსკვლავი სხივდაფერილი,  
ხალხთა უფლების ღერბი მაღალი,  
სტალინის ხელით გამოკვერილი.  
მის სინათლეზე მოვდივართ ერთად —  
ხარობდეს მუდამ მშრომელთა კერა!  
მოგვაქვს მთლიანი კედელი მკერდთა  
და გულთა ერთი საამო ძგერა“.

ასე სწერს პოეტი ამ ლექსში. იგი უდიდესი აღფრთოვანებით  
აღწერს ყველა იმ სიკეთეს, რომელიც მოუტანა საბჭოთა ხალხებს.

სტალინის გენიამ და დასასრულ ამბობს: გავა ბევრი დრო, კაცობრიობა თავის განვითარებაში ბევრ სხვა თარიღებს, ბევრ ბრწყინვალე დღეს გაითენებს მომავალში, მაგრამ 12 დეკემბრის თარიღი, როდესაც პირველად კაცობრიობის ისტორიაში საბჭოთა კავშირის მშრომელებმა აირჩიეს თავისი წარმომადგენლები, ნამდვილი თავისუფალი არჩევნების წესით, დაუვიწყარი დარჩება ისტორიისათვის:

„მაგრამ ეს წელი და ეს თარიღი  
კაცობრიობას მუდამ დარჩება,  
როგორც სინათლე უმხურვალესი,  
მზიდან პირველად გულს ჩადვარული,  
როგორც პირველი გრძნობის ალერსი,  
პირველი თრთოლვა და სიყვარული“.

აღ. აბაშელი თავის ლექსებში უმღერის ძღვევამოსილ წითელ არმიას, რომელიც გმირულად იცავს თავისი ქვეყნის საზღვრებს და მრისხანე ძალას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ყველა მტრისათვის. სასიმღერო ლექსში „ლაშქრული“ გამოხატულია ჩვენი სამშობლოს ფხიზელი დარაჯის, წითელი არმიის საბრძოლო განწყობილება:

„და თუ მტერმა გაბედა  
ჩვენი მიჯნის გარღვევა, —  
ვინ-ღა გაგვიტოლდება  
ჩვენ სამშობლოს დაცვაში.  
საზღვარს გადავეჭდობით  
ჩვენ ფოლადის ძარღვებად  
და ბრძოლის ცეცხლს დავანთებთ  
ხნელზე, ზღვაზე და ცაში“.

აღ. აბაშელის შემოქმედებაში მხატვრული გამოვლინება ჰპოვა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისეთმა უდიდესმა უბანმაც, როგორიც არის კოლხიდა. შესანიშნავ ლექსში, რომელსაც ეწოდება „ოქროს საწმისი“, პოეტმა ოსტატურად დაუპირისპირა ერთმანეთს ძველი კოლხიდის ბინადარის მხელი ცხოვრება მის დღევანდელ ნათელ, მზიურ და საამო ყოფასთან.

ავტორი ჯერ აგვიწერს კოლხეთის ბუნებას და იქაურ მცხოვრებთა მწარე ბედს ძველად, შემდეგ პოეტურ ფერადებში გვიხატავს ამ კუთხის დღევანდელ სურათებს.

„ნისლი ამოდიოდა დამპალი წყლის ორმოდას  
და კოლოებს არწევდა შხამიანი ყვაველი.

ხშირად მღვრიე რიონი ცოფიანი მორბოდა,  
არემარეს იკლებდა შემზარავი ბლავილით...

„...გუთნისდედა იბრძოდა კენტად, მარტოხმიანი,  
წყლის და მიწის ჭიდილში გონივრული ჩარევით,  
მაგრამ თხრილში იცდიდა ბარი ტალახიანი,  
ვიდრე თოვლის კარავში კაცი ეგდო ჩვარივით.

კაცი ეგდო მოწყვეტით, დაალხული მშორითა,  
ანთებიან გონებით ბურანში გადასული...

...ახლა ნახეთ ეს მხარე თუ რა სანახავია:

მას ვერუ სჯობს მშვენება ვერც, ზღვისა და ვერც ცისა.

დღეს კოლხიდის მიდამო თითქოს ერთი ტყავია  
ოქროს ბეწვით შემოსილ ლეგენდარულ ვერძისა...

...ხიდან ცურვით ჩამოდის ხილით სავსე გიდელი,  
უხვ მოსავალს ზეიმობს ველი ნაჭობარი.

თავს დაგვნათის მხესავით „მგზნებარე კოლხიდელი“, —  
მშრომელთ დიდი სარდალი და ხალხთა მეგობარი...

აღ. აბაშელისათვის ჩვენი სოციალისტური სინამდვილე წარმოადგენს პოეტური შთაგონების დაუშრეტელ წყაროს. იგი თავის ლექსებში ასახავს ამ სინამდვილეს საბჭოთა პოეტისა და მოქალაქის გულწრფელი სიყვარულით და უდიდესი პატრიოტული სიამბუჯით. ყველგან, მისი ლექსის ყოველ სტრიქონში, რა თემაზეც არ უნდა სწერდეს იგი, რასაც არ უნდა აპყრობდეს თავის პოეტურ მზერას, სინამდვილის რომელ მხარესაც არ უნდა აშუქებდეს იგი. პოეტი ყოველგან ხედავს დიადი ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული აზრის გამოვლინებას, მის უდიდეს შემოქმედებით შთაგონებას, მისი საქმის განხორციელებას. აღ. აბაშელის ერთი უკანასკნელი ლექსთაგანი „ლენინის ხსოვნას“, დაწერილი ლენინის გარდაცვალებიდან თოთხმეტი წლის თავზე, საუკეთესოდ გამოხატავს პოეტისა და მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის უდიდეს სიყვარულს თავის გენიალური ბელადების, ლენინისა და სტალინისადმი. ეს ლექსი ერთი საუკეთესო ლექსთაგანია თანამედროვე საბჭოთა მწერლობაში. მოგვყავს ადგილები:

„...თოთხმეტი წელი უკვე გავიდა, —

შრომის და ბრძოლის საფეხურები,

შენს სახელს უფრო მაღლა ავიტანთ

და ზედ ლაფვარდად დავეხურებით.

ბრძოლით შევხვდებით მომავალ დრო-ჟამს,

არ გავიხრებით არსად ლაჩრულად,

რადგან აქა გვყავს — ჩვენს გამირულ დროშას

ვინც შენი სახე შეუნარჩუნა;  
 ვინც სიხარულით გული აგვივსო  
 და დგას კლდესავით უძლევე ტიტანად,  
 შენი მიზანი სამარადისო  
 მაღალ მწვერვალზე ვინც აიტანა.  
 ჩვენ მას შევცქერით, იმას მივყვებით,—  
 ელავს ფოლადის მკრელი მახვილი,  
 მის ხმაში გვესმის შენი სიტყვები.  
 და მის ძახილში — შენი ძახილი.  
 და შენი სახე, მშრომელთ ლაშქარის  
 გულისძგერასთან განუყოფელი,  
 მუდამ წინ გვიძღვის, მუდამ აქ არის,  
 ასე ძვირფასი და ახლობელი.“

ასეთია საერთო მიმოხილვით ალ. აბაშელის უკანასკნელი პერიოდის პოეტური შემოქმედება. აღსანიშნავია მისი ნაყოფიერება და ამავე დროს მხატვრული ოსტატობის მაღალი დონე.

ა. აბაშელი უმთავრესად ლირიკული ჟანრის პოეტია. მან მოგვცა ნიჟურები პოლიტიკური ლირიკისა, რომელიც დარჩება ჩვენი საბჭოთა პოეზიის იდეურ-მხატვრულ ზრდის საუკეთესო მაჩვენებლად. საკმარისია შედარება მისი დღევანდელი ლექსებისა თუნდაც „მზის სიცილის“ ლექსებთან, რომი მკითხველი დარწმუნდეს იმ უდიდეს ევოლუციაში, რომელიც მსოფლმხედველობითი გადამუშავების შედეგად მოხდა პოეტის შემოქმედებაში.

თუ წინათ ალ. აბაშელს ახასიათებდა ბუნდოვანი და განყენებული თემატიკა, დღეს მისი ლექსების შინაარსი გარკვეული და კონკრეტულია. თუ მის გონებას და გრძნობებს ჰფლობდნენ მისტიკური ზმანებები, დღეს მისი იდეური სამყარო მუშათა კლასის მსოფლმხედველობით არის განაყოფიერებული. მისი ლექსები წინათ საზოგადოების ექსპლოატატორული, პარაზიტული ნაწილის სულისკვეთებას გამოხატავდნენ და მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდნენ. დღეს ალ. აბაშელი ხალხის გრძნობებსა და განცდებს გამოხატავს, იგი საბჭოთა ხალხის მოწინავე პოეტების რიგში დგას. მართალია, ძველი პოეტური მუშაობის რეციდივები ზოგჯერ დღესაც იჩენენ თავს მის ლექსებში — ვგულისხმობთ აქა-იქ საგრძნობ რაციონალიზმს და მსჯელობითი ფორმების სიჭარბეს ლექსებში, მაგრამ საერთოდ ალ. აბაშელი სამართლიანად ითვლება ლექსის გამოცდილ და დახელოვებულ ოსტატად. გულწრფელი იდეურობა და ოსტატობა საუკეთესო საწინდარია მისი შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისა.

## ბ. შვაუკე

### ოვანეს თუმანიანი

ბარდაცვალებიდან 15 წლის უმსრულეობის გავლ.

სომხეთის გამოჩენილი მწერალი ოვანეს თუმანიანი; რევოლუციამდე დელი სომხური ლიტერატურის უდიდესი ფიგურაა.

ოვანეს თუმანიანის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა პატრიარქალური ცხოვრების დანგრევას და, მასთან ერთად, ძველ ადათ-ჩვეულებების რღვევა-დაშლას. ამას ემატება აწმყო ცხოვრების დუხჭირი პირობები, სომეხი ერის მშრომელთა კოლონიალური ყვლეფა, რითაც ნათელი ხდება, თუ საიდან მოდის ზოგიერთი პესიმისტური ჰანგები მის ადრინდელ პოეზიაში.

პოეტს არ აკმაყოფილებს თავისი თანამედროვე სომხური ერის აწმყო ცხოვრება და ერთ ლექსში, სახელწოდებით „სომეხთა სევდა“, ამბობს:

„მაგრამ ამ ლტოლვას არა აქვს ბოლო,  
არ სჩანს ნაპირი და არც ზღვის ფსკერი.  
და სცოცხლობს ტანჯვით, რომ კვლავ იბრძოდოს  
უსაზღვრო სევდით გადანაფერი“.

რევოლუციამდე პოეტის „ცელქ ჰანგებს“ ხშირად ეტყობოდა „ნაღვლიანი სისინი“ და „მერცხლის სისხლიანი ფრთა“ მას არ შორდებოდა, რამდენი ქვაც არ უნდა ესროლა და დაეჭრა იგი. აწმყო მდგომარეობით გულმოკლულ ოვანესს მთებიც კი მგლოვიარედ ეჩვენება და სევდიანი კილოთი გაიძახის:

„ნუთუ არ გვეყო ტანჯვა დიადი,  
ლოდინმა თვალი სევდით დაჩრდილა,  
როს გვეღირსება ჩვენ განთიადი,  
როდის ამოვა ბრწყინვალე დილა!“

აწმყო მდგომარეობით გულდასერილი მგოსანი ხშირად წარსულში იხედება, წარსულის მიმართ რომანტიკოსობს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მას წარსულში ყველაფერი მოსწონდა, მისი ავისა და კარგის რესტავრაციისათვის აბრძოდა, და რომ წარსულისადმი მას კრიტიკული დამოკიდებულება არ ქონოდა, მაშინ ის ვერ იქნებოდა დიდი რეალისტი მწერალი, რომლის სახელიც მან სამართლიანად დაიმსახურა თავისი შემოქმედებით.

პოეტი დრომოქმულ და ნიადაგამოცლილ წარსული ცხოვრების ნაშთებს, თანამედროვე ცხოვრებაში გადმოსულს, მედგრად ებრძოდა და აწმყო ცხოვ-

რების ზოგიერთ ტრაგიზმის ძირს იქიდან ანვიფარებდა, მაგალითისათვის ავღ-  
ლოთ თუნდაც მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძლიერესი ნაწარმოე-  
ბი — „ანუშ“. საიდან მოდის ანუშის ცხოვრების ტრაგიზმი? ეს ძველი ცხოვ-  
რების ჩვეულებაა, რომლის ძალითაც სასიძო ცოლის ძმას არ უნდა მოერიოს,  
თორემ სისხლი დაიღვრება. მან მთელ რიგ თავის პოემა-ლექსებსა და მოთხ-  
რობებში არა ერთხელ გამოიტანა მზის სინათლეზე წარსულის ბნელი მხარე-  
ები და დასცინა და გაქირდა ისინი. (მარო, წყეული რძალი, ლორელი საქო-  
და სხვ.).

ო. თუმანიანი ხედავდა აწმყო ცხოვრებაში ღარიბებსა და დაჩაგრულებს.  
მაგრამ ვერ ხედავდა ამ სიღარიბისა და ჩაგვრის გამომწვევ მიზეზს. მას ებრა-  
ლებოდა ღარიბები და ჩაგრულები, თანაუგრძობდა კიდევ მათ, მაგრამ არ  
უჩვენებდა უკეთესი მომავალი ცხოვრების გზას, წვრილ ბურჟუაზიული მსო-  
ფლმხედველობა მას ხელს უშლიდა, რომ გაეგო და დაენახა კლასობრივი  
ზრდოლების არსი.

რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა ვალერი ბრიუსოვმა, როდესაც მან გა-  
მოსცა თავის რედაქციით და შენიშვნებით სომხური პოეზიის კრებული  
(1916 წ.), ოვანეს თუმანიანის შემოქმედებას მისცა მეტად მაღალი შეფასება და სხვა-  
თა შორის ხაზგასმით აღნიშნა მისი მახლობელი კავშირი ხალხის ცხოვრებას-  
თან. სწორედ ამან მოუპოვა მას მკითხველთა ფართო მასებში დიდი სიყვა-  
რული, სახელი და პოპულარობა. მხოლოდამხოლოდ ამით უნდა აიხსნას, რომ  
პოეტი, მიუხედავად თავისი დაშნაკუტი წარსულისა, ყოველთვის გამოდიოდა  
ყავკასიის ერების ერთობის მქადაგებლად. განსაკუთრებით აქტიურად მონაწი-  
ლეობა მიიღო მან და დიდი მუშაობაც გასწია სომეხ-თათართა ულეტის სალი-  
კვიდაციოდ 1905-6 წ. წ. ეს ულეტა პროვოკაციული მიზნით მოაწყო რუსე-  
თის თვითმპყრობელობამ. პოეტი მაშინ ლორიდან ერთ თავის მეგობარს სწერ-  
და: „ახლა მე იმდენად ის კი არ მახარებს, რაც ლიტერატურისათვის გავა-  
კეთე, რამდენადაც ის, რომ შევძელი და დავარწმუნე ორი ხალხი, ერთმანე-  
თის წინააღმდეგ რომ ფარი და დანა ჰქონდათ ამოღებული, და მით-  
დავიხსენი ათასობით უდანაშაულო ადამიანები მხეცურ გაულეტისაგან“ (რუსეთის  
შეფის მთავრობამ ის ამ მოღვაწეობისათვის დააპატიმრა 1908 წ. და ერთ  
წლით გამოამწყვდია ციხეში).

1918 წელს ოვანეს თუმანიანი კვლავ დააპატიმრეს და სამართალში მის-  
ცეს, მაგრამ სასამართლომ იგი გაამართლა.

ოვანეს თუმანიანი ძველი თაობის ინტელიგენციის რიგებიდან პირველი იყო,  
რომელიც მიესალმა საბჭოთა ხელისუფლებას და თავის განთავისუფლება დაუ-  
კავშირა ოქტომბრის რევოლუციას. როდესაც დაშნაკებმა მოაწყვეს სისხლიანი  
ავანტურა, მან გაბედულად გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და როგორც თავისი  
საბჭოთა სამშობლოს ერთგული შვილი, დიდი ენერგიითა და გატაცებით ჩაება  
საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში.

პოეტმა თავისი სიცოცხლის მეტი ნაწილი საქართველოში გაატარა და  
აღფრთოვანებით უყვარდა საქართველო, რომლის პოეტებსაც მიმართავდა:

„დღეს ხალხი სისხლით თუმც იწურება,  
ეს დაგვრჩა მაინც ძველ გაკვეთილად,  
რომ ერთი ერის უბედურება  
ვერ გადიქცევა სხვისთვის კეთილად“.

„კავკასიონის ჭალარა ერებს“ ის მოუწოდებდა საერთო ლხინზე და მზად იყო მათი მგოსნების შემოძახილზე თავისი ქამანჩა ტკბილად აემღერებია.

ოვანეს თუმანიანი იყო თბილისში სომეხთა ხელოვნების სახლის თავმჯდომარედ, 1921 წლის შემოდგომაზე საბჭოთა სომხეთის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარედ ითვლებოდა და როგორც კომიტეტის დელეგატი მივლინებული იყო სტამბოლში. ამ მუშაობაში ის დაავადმყოფდა და საბჭოთა მთავრობამ ბერლინში მიაგვლინა სამკურნალოდ, მაგრამ 1923 წ. 23 მარტს მოსკოვში გარდაიცვალა. დაკრძალულ იქნა თბილისში ყოფილ ხოჯევანქის სასაფლაოზე. რომელიც ამჟამად გადაკეთებულია კიროვის რაიონის დასვენებისა და კულტურის პარკად.

ბ. — მ.

## დ უ ტ უ მ ე გ რ ე ლ ი

(ლიმიტრი ხოშტარია)

პოეტი და ბელეტრისტი ლიმიტრი ხოშტარია — დ უ ტ უ მ ე გ რ ე ლ ი ს ფსევდონომით იყო ცნობილი. ის სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასულ საუკუნის 80-იან წლებში. მის მხატვრულ შემოქმედებაში უმთავრესად აღბეჭდილია რუსეთის თვითმპყრობელობისაგან ქართველი ხალხის ჩაგვრა და დევნა. აწმყოთი გულმოკლული ის ხშირად უიმედობას ეძლეოდა. მაგრამ ის დასტიროდა არა მარტო იმას, რომ „საქართველო საწველ-ფურად გახადეს“, არამედ იმასაც, რომ ქართველი გლეხისა და მუშის შრომით სხვა მდიდრდებოდა და გასაკვირველი არაა თუ ასეთ დროს ვით ხელოვანი:

„ვერ ვმღერდი ტკბილად,  
განა ეს ბრალად,  
როგორც მგოსანს,  
მე დამედება?“

მან ძლიერი და ახალგაზრდული ენერგიით შემოდგა ფეხი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი ხმა და ცხოველი მისწრაფება ყოველთვის ვერაჰპოულობდა გამოხმაურებას და თანაგრძნობას, „სამარის მსგავსი ღუმილი“ მას გულს უკლავდა:

„ადარსით ისმის ცხოველი სიტყვა,  
სულის და გულის აღმფრთოვნებელი.  
ჭაბუკთა მზრდელი და დაჩაგრულთა  
რწმენით აღმცხები, ნუგეშმცემელი“.

მაგრამ იგი სრულ უიმედობას მაინც არ ეძლეოდა, ცრემლებისაგან აღქმულ მდინარედ გადაქცევას ნატრობდა, რათა ქვეყანაზე დამყარებული ბოროტება გადაერეცხა და იმედი ჰქონდა, რომ „ბევრს ახალგაზრდას კიდევ ბული აუთრთოლდება“, რადგანაც:

„მაგრამ ერთხელვე თუ დაკარგა მან მოთმინება,  
მაშინ ზღვაზედაც უარესი ის შეიქნება.  
მაშინ მის ძალას ველარავინ ველარ გაუძლებს  
და ისიც ვიდრე თავის სურვილს არ შეისრულებს,  
არ გაჩერდება, არაფრის წინ არა შედგება“.

ასეთივე შინაარსისაა მისი პროზაც. ის გვისახავს თავის დროის სინამდვი-  
ლეს. ზოგიერთი მისი მოთხრობა დღესაც ხალხით და გატაცებით იკითხება.  
ასეთია მოთხრობა „ქინაქინა“.

დუტუ მეგრელი ძველი თაობის მწერლობიდან ერთი პირველთაგანი  
შივიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან. მასში არა ყოფილა არავითარი დაეჭვება  
და ყოყმანი. მთელ რიგ თავის დეკლარაციულ ლექსებში პოეტი ასაბუთებს  
იმას, რომ ყოველთვის მშრომელებთან იყო და თუ ოდესმე თამარსა და პა-  
ტარა კახს ახსენებდა, ამით წარსულის აღდგენა კი არ სურდა, არამედ — ქარ-  
თველ ხალხში აღმაფრენის გამოწვევა:

„რომ გამოედო  
ძველებურ ხელი  
და ჩამოეგდო  
ბორკილ-უღელი“.

ახლა ის თავს დასტრიალებს განთავისუფლებულ ქართველ ხალხს, ცდრ-  
ლობს გახდეს მისი პოეტი და გაიძახის:

„მხოლოდ მშრომელებს,  
გუშინ უბრალო  
ნიეთთა დარ მონებს,  
და საქართველოს  
დღეს სრულ პატრონებს,  
მე ვუგალობდი,  
მათვისვე ვგალობ,  
მათთან ვნაღვლობდი  
და მათთან ვხარობ!“

დუტუ მეგრელი დაიბადა 1867 წელს. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების  
შემდეგ სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში. მსახურობდა ერევანში და სხვა  
ქალაქებში. უკანასკნელად ღრმა მოხუცებულობის გამო მიატოვა სამსახური.  
მისი ლექსებისა და მოთხრობების კრებული ორ წიგნად გამოვიდა 1910 წელს.  
საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოვიდა მისი ნაწერების სამი წიგნი: „ჩემი  
სიტყვა“, „მუშები საქართველოში და შრომის გმირი ხოშტარია“ და „მოთხრო-  
ბები“.

დუტუ მეგრელი თარგმნიდა უცხო მწერლებსაც. რუსული მწერლობიდან  
თარგმნიდა ლერმონტოვსა და ნადსონს, უცხოეთიდან ვიქტორ ჰიუგოს და  
სხვ.

# ბიბლიოგრაფია

**სერგო კლდიაშვილი, ნოველები.** გამომცემლობა „ფედერაც.“ 1938 წ.

სერგო კლდიაშვილი უახლესი ქართული პროზის საკმაოდ დახელოვნებული და მომწიფებული ოსტატია. მისი მოთხრობა-ნოველები ყოველთვის დიდი ხალისით და ინტერესით იკითხება. ავტორს აქვს თავისებური თხრობის ფორმა, მას ახასიათებს ლაკონურობა და უბრალოება. ის მოვლენებსა და ფაქტებს უბრალოდ გადმოგვცემს, ყოველგვარ ჩუქურთმიან სიტყვებისა და მაღალი შტილის გარეშე. უბრალოდ, სადად, მაგრამ დიდი დამაჯერებლობითა და მხატვრულობით. მას არ უყვარს გაფუჭული სიტყვები, არც შორეული ექსკურსები და დამხმარე ეპიზოდებში გადავარდნა. მის ნაწარმოების თემას, სუჟეტსა და ეპიზოდებს შორის ყოველთვის ნორმალური თანაფარდობაა. ამაშია მწერლის ოსტატობის მაღალი დონე.

მაგრამ აქვს ზოგიერთი ნაკლიც. ეს ნაკლი ხშირად მოდის იქიდან, რომ თანამედროვე ცხოვრებას ჰკვრეტს (თუნდაც ახლოდან) და არა მის ორომპტრიალში იმყოფება. ამით აიხსნება მისი მოთხრობების ზოგჯერ არა აქტუალური თემა. ამით აიხსნება ისიც, რომ მას უარყოფითი ტიპების მოცემა უფრო ეხერხება, ვიდრე დადებითი. დადებითი მომქმედი პირები ავტორმა დიდი გაქანების გმირისადმი ვერ განავითარა. მის შემოქმედებაში არის გმირი, მაგრამ უმნიშვნელო საქმიანობის ფონზე.

სარეცენზიო წიგნის პირველ ნოველას „მტრებს“ დიდი პრობლემის თემატიკა აქვს. ეს არის ადამიანის ძირფესვიანად გარდაქმნა, მისი გიგანტური ზრდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. მწერალს ნოველის ფარგლებში ეს თემა დამაკმაყოფილებლად აქვს დაძლეული. ომანსა და ოთარს შორის სისხლის ანგარიშია. ორივენი კარჩაკეტილ მთის კუთხიდან არიან. ოთარი საფრთხიდან თავდაღწევის მძნით სტოვებს თავის სამშობლო სოფელს და სამუშაოდ გარე ქვეყანაში მიდის. მალე მის კვალს დაადგება ომანიც. ოთარმა უკვე მიიღო მუშის საკმაო სტაჟი — ხილის ერთ-ერთ ქარხანაში. მოეწყო მას აქ. მოულოდნელად თავს წამოადგება ომანი.

ოთარს თავისი ემართება. ის დარწმუნებულია, რომ ომანი სისხლის ასაღებად ეძებდა მას. ომანიც აქვე ქარხანაში მოეწყობა. გადის დრო, ხანი. იმათი მეგობრობა მტკიცდება. ოთარს უბედურება შეემთხვევა (მეორე სართულიდან გადმოვარდა და დაიმტვრა). ჭრილობა მძიმეა, ადამიანი სისხლისაგან იცლება. საჭიროა ახალი სისხლს გადასხმა. ომანმა გაიღო სისხლი და იხსნა მეგობარი.

შურისძიების და სისხლის აღების ნაცვლად ადგილი აქვს ერთმანეთისადმი თავდადებას და უსპეტაკესი ჩიყვარულის გრძნობას. აი როგორ იზრდებიან ადამიანები საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და ეს მაშინ, როდესაც ისინი თავიანთ კარჩაკეტილ მთას სტოვებენ და მუშათა წრეში მოხვდებიან. ეს მშვენიერი და ნათელი დასკვნა ნაწარმოებიდან კარგად სჩანს.

ეს ნოველა კომპოზიციურად კარგად შეკრული ნაწარმოებია. ოთარის ბუნება და სახე ფსიქოლოგიური სიბრტყით არის მოცემული. ომანის სახეც ლამაზი შტრიხებითაა გამოკვეთილი. ნაწარმოებში მოქმედებათა კოლიზია ნორმალურად ვითარდება და ბოლოს მოხდენილადაც იხსნება.

ასეთივე მაღალი ოსტატობით და მხატვრული დამაჯერებლობითაა გაკეთებული სარეცენზიო წიგნის დანარჩენი ნოველებიც: „თქვენი გამარჯვებისა, ძმებო“, „ზეიმი“, „პარტიზანები“ და „ღირბელი მოყმის ამბავი“. ნოველა „პარტიზანი“ ძველი ნაწარმოებია და თავის დროზე შედიოდა სვანური მოთხრობების ციკლში.

ნოველა „ზეიმი“ მოხდენილი და მაღალი ოსტატობით გაკეთებული ნაწარმოებია, მაგრამ აქვს ერთი მიუღებელი ტენდენცია, გვიჩვენოს თანამედროვე ცხოვრების სინამდვილე გაშარქებული სახით. ამ მხრით ავტორი ვერ იცავს ზომიერებას.

სვანური მოთხრობების ციკლიდან ამოღებული ნოველა „პარტიზანები“ რამდენიმედ სვანეთის გროტესკია და ამიტომ ზოგი მისი ადგილები დამაჯერებლობასაა მოკლებული.

სერგო კლდიაშვილი ჩვენი ქართული პროზის ერთი შესანიშნავი ოსტატი თანამედროვე ცხოვრებასთან კიდევ უფრო ახლო უნდა მივიდეს, მას უნდა შეედუღოს, და უფრო აქტიურ თემებს მოკიდოს ხელი.

ბ.

---

გადაეცა წარმოებას 7/IV ხელმოწერილია დასაბეჭდათ 29/IV-38 წ. ხუთი ფორმა. ანაწყობის ზომა 6×10. ქალაქის ზომა 60×92. მთავლიტის № 1926 შეტ. № 785 ტირაჟი 6500

---

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი. უორესის ქ. № 5